



ს. ო. თ. ნ. ე. კ. ო



პიონერი

№ 10 ოქტომბერი 1949 წელი



საპარტიო აღკვეთის ცენტრალური კომიტეტის
შრომითი საბავშვო შუალედი

გამომცემლობა
„კომუნისტი“
ფელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



სახლი თბილისში (პუშკინისა და კეცხოველის ქუჩების კუთხეში), რომელ-
შიც მოთავსებული იყო სასულიერო სემინარია; აქ სწავლობდა კაბუცი
სტალინი 1894 — 1899 წლებში.

ქეპოღგომის სურათები

გალკა უორჩხიძე

აესილან სასიმიინდენი
კალოსპირ ჩარიგებულნი,
იელის წნელით მოწნული,
მუხის ბოძებზე შედგმულნი.

კალოსპირ კრელი მამლები
გაფანტულ მარცვლებს ჰკენკავენ...
და წიფლის ჰოგორით ქალებში
კაკლის დიდ ხეებს ბერტყავენ.

დამწიფებულა ხეხილი,
ხეებზე ბრწყინავს ბადახში
და ღობის ძირას ვაშლები
ჩაგორებულან ბალახში.

ვენახში ყურძენს ჰკრეფავენ,
გოდრებში ცვივა მტევნები...
ვაზის ფოთლებში ღულუნით
დაფრთხილებენ მტრედები.

მოდიან ჩამწკრივებული
დოვლათით დატვირთულები,

ოჯახის გამხარებელი—
კოლმეურნეთა ურმები.

უკან მოსდევენ პატარა
მამაცი ლენინელები,
ლალის მტევნებით აავსეს
ვეება საწნახელები.


ხან წიგნებს დაეღურტულებენ,
ხან ვენახებში მღვრიან,
ბეჯითი შრომის ერთგულნი
უფროსებს ეხმარებიან...

გახარებულა სოფელი
ოჯახში ჩადგა დოვლათი.—
ახალ მოსავალს მოელის
ჩვენი წისქვილის დოლაბი...

ლალის მტევნებით აავსეს
ვეება საწნახელები
და უფროსებთან შრომობენ
მამაცი ლენინელები.

4367





მთხრობა

ბრუნავენ, ქმინავენ, ვარბიან ბორბლები, დგუშები, ლეკები, თავბრუნებულები, ელვის უსწრავესად, და ამ გამაყრუებელ ხმაურში ადამიანები მთელის ძალით ყვირიან, ხელებს იქნევენ, მუშაობენ, ლეკებზე დაკრულ ჯაშებს ათასობით თეთრი ერთი ზომის ქალაქები შემოაქვთ. მათ თითო-თითოდ იღებენ მუშები და პირში აწვდიან უზარმაზარ, ხახნაღებულ მანქანებს, აგერ ერთი მანქანის წინ დგას პატარა ჯიმი, მთელი სისწრაფით ამუშავებს ხელებს, სახეზე ღვარად ჩამოსიის ცფლი, რომელსაც დროგამოშვებით სახელოთ იწმენდს, მაგრამ მაინც ვერ იზრბობს.

ჯიმი ცხრა წლისაა, პატარა ტანის, სუსტი, ხეშუქვა გრუხა თმა აქვს, პატარა სქელი ტუჩები, თეთრად მთელვარე კბილები და შავი, ცოცხალი თვალები. არაფერი ესმის ჯიმს გარდა მანქანათა ჯოჯოხეთური ღრიალისა. მან ისე შეჩავიდა ყურით ამ ხმაურობას, რომ ყოველ ახალ ბეგრას, რომელიც კი ამ საერთო რიტმს შეემატება, წამსვე იჭერს. ეს ბეგრები მოისმის მეზობელ დახვეგბთან მიმუშავე ადამიანებიდან, რუმორებიდან, რომლებიც წამდაუწყუმ იმორებენ; „არ შეჩეროთ მუშაობა, იგვიანებს გაზეთების მიწოდება ქალაქისათვის“. აი, ახლაც საერთო რიტმი რაღაც ახალმა ბეგრამ დაარღვია, ჯიმი ოდნავ ხრის თავს ვეერდზე და ტროხის თითრი სახის კანზე წითელ ლაქებალ ჩანს ზედახმედველის სქელი თითები. „მას ალბათ დააჯარიმებენ“, გაუღვია ჯიმი.

ჯიმის თვალებში სიხარულის ნაპერწკალი წარუყინავს, სახე უღიმის. ჩვეულებრივზე სწრაფად მუშაობს, იმედია იმ შესახებ დაობა აქვს.

რა ახარებს ჯიმს?! — ის ხომ არა, რომ ტოპს სცემეს, თეთრონ კი ვაღარჩა?! ან ის ხომ არა, რომ ჯერ არცერთი სილა არ მოხვედრილა?! არა, ასეთი ამბები არ ახარებს ჯიმს. მისი სიხარულის მიზეზი სულ სხვა რამია. ის პირველად თავის სიცოცხლეში დღეს მიიღებს ფულს, და მერე იცით რას ნიშნავს ეს?! იცით?! ო, რა მზიარული, სახეგაბრწყინებელი, ალტაცებელი წვაა შინ ჯიმი. წვაა კი არა, გაფრინდება, ჩიტებს შეეჯიბრება სისწრაფეში და აუცილებლად გაუსწრებს. მივა შინ ამაყად, ბინის ქირას გადაიხილს, დედას გაახარებს... ო, რა ბედნიერია, რა ბედნიერი დღეს ჯიმი! მისთვის დღევანდელი დღე მეორედ დაბადების დღეა, დღევანდელ დღემდე კი... და ჯიმი თავის პატარა, მაგრამ მძიმე სიცოცხლის უფარულ დღეთა მოგონებაში ჩაიძირა, თითქოს მის წინ მდებარე ქალაქებიც სწრაფად გარბიან ისინი მის მესხერებაში.

გუმინდელივით ახსოვს ჯიმი, მათ მიწურში როგორ შემოაცივინენ პოლისმენები. მის საყვარელ მამიკოს როგორ სცემდნენ ჯიბებით, უმეერი სიტყვებით ავიწყებდნენ; მათ ლანძღვა-გინებაში მხოლოდ ერთი სიტყვა ვერ გაიგო ჯიმი — გათიცვა. წაიყვანეს მამა სადღაც, ისე შორს, რომ ჯერაც არ დაბრუნებულა. მისმა სახელომ, ახლა სახილან იფლანეს ერთად ცრემლიც მოწმინდა.

ისიც ახსოვს ჯიმი, თუ ერთ საშინელ დღეს მოხუცი ქალები როგორ მივიდნენ მასთან, მოეფრენ, თავზე ხელო გადაუსვიეს, ორიოდ ცრემლი დაღვარეს. გული მოუკიდა პატარა ჯიმს; დედას, რომელიც მომწამლეულ ნიეთიერებათა ქარხანაში მუშაობს, წამოიტ სახეე სინჯარის გასცდომის დროს ხსნარი თვალებში შესჭობდა, სინათლე დაეკარგა. ორი კვირის შემდეგ მიიყვანეს დედა და დასტყვევა. — ის იყო და ის. მას მერე მათთვის არავის მოუკითხავს.

მას შემდეგ დარბოდა ჯიმი დიდი ქალაქის ქუჩებში, დაჰყავდა დედა, მოწყალეობას თხოვლობდა. ვიღაც მობეზრებულ ჯიმის მუღარობა და უსწრაფო ქალის ცრემლებით, ზიზიით ავღებდა ჯიმის მჩვრადქცეულ




ქელში ერთ ცენტს. შემდეგ, როცა წამოიხარდა, ყოველ დღით მირბოდა ქარხნებთან, რომლებსაც ჰქონდათ რეკლამები „სამუშაო ბავშვებისათვის“, მაგრამ მუდამ დაღონებული ბრუნდებოდა უკან, სხვა თერთკანიან და ზანგის ბავშვებთან ერთად. მხოლოდ ორ-სამ ბავშვს ღებულობდნენ ავადმყოფ ან უწესრიგობისათვის დათხოვნილ ბავშვთა მაგიერ. ერთხელ კი თითქოს ჯიშს ბედმა გაუღიმა, რიგში იდგა, კარის გაღებისას მასზე წინმდგომ ტომს შეასწრო, მაგრამ როგორც ყოველთვის. ცარიელი დარჩა. უკან გამოსვლისას ტომი მიუახლოვდა, მთელის ძალით გაარტყა მუშტი. ისედაც დასუსტებული ჯიში მიწაზე გაიშხლართა. ის ქუჩაში ეგდო, ხანგამომშვებით რალაც ტყვილის გრძობდა გვერდში, ვინზე მოვიდა, თვალი ვახილა, პოლისმენის საზიზღარი სახე დასცქეროდა. „აეთრიე ზევით!“ — ყვიროდა იგი და ჩექმის წვერს სცემდა გვერდში. ჯიში გაქირვებულ წამოღვა, გაქცევა დააპირა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კიდევ; მაგრამ ამ დროს ზურგში კვლავ მოხვდა ჩექმა და წაიქცა. ისევ მოიკრიბა ღონე და გაიქცა. მირბოდა ჯიში და უკან მისდევდა პოლისმენი გესლიანი ხარხარით. ბოლოს

ჯიშსაც გაუღიმა ბედმა: ის სამუშაო მაგილაღს. თორმეტი საათი უნდა ემუშავა, მაგრამ რა ჯიშს ღელში ორ ცენტად. ორი ცენტად ორი ცენტი. ორი, ორი, ორი და ეს რიცხვი ყურებში უწვივის. აი, ახლაც, ამ სიხარულით გაბრუნებულმა ორი ქალაღი აიღო ერთის მაგიერად და პირში ჩასჩარა მანქანას; მაგრამ მას ერთი ქალაღი უნდა მიეწოდებინა მანქანისათვის და ქალაღის უკან დაბრუნება მოინდომა. ხელი მისწვდა თითქოს კიდევ ქალაღს, მაგრამ... — ვაჰა! — შეჰყვირა ჯიშმა და მისი ხმა მანქანათა გრგვირვაში ჩაინთქა. ხელმა მთელი ტანი მიიზღა და ჯიშის სხეული ბორბლების ბრუნვას შეუერთდა. „არ შეაჩეროთ მუშაობა, — ისმის რუპორებში, — იგვიანებს გახეთქვის მიწოდება ქალაქისათვის!“.

დამლაგებელი ქალი წითელ ლაქებს სწმენდა საბჭულ მანქანაზე. ტყუილად ელოდა უსინათლო დედა თვალების ახელას. მისთვის სამუდამო წყვილიად მხოლოდ ახლა გაეხვია ქვეყნიერება, მაგრამ ვიღაცას კი მედნიერებით გაუბრწყინდა სახე ქარხნის რეკლამის წინ: „სამუშაო ერთი ბავშვისათვის“.

ნორა ჩხიძე



აკაცია გავაშენოთ

მოდი თინა, ამ მინდორზე
აკაცია გავაშენოთ,
მშობლიური სკოლის ეზო
მწვანე ნერგით დავამშვენოთ!

ჩვენ, პატარა პიონერებს,
ტყის მეგობრებს გვეძახიან.
ოცდაათზე მეტი ნერგი
გუშინ დავრგეთ მე და ვიამ.

მწკრივში დავრგოთ, აი ასე,
სალამოს ჩამს ვუსხათ წყალი,
ვაიზრდება, გაიხარებს,
როგორც ვაზი რქინაყარი.

მის ფოთლებში თვალს გაახელს
თმახუტუკა გაზაფხული,
მწვანე ბაღად ვადიქცევა
მშობლიური ქვეყნის გული.

ლილი ნუსუბიძე



თბილისში, ლესელიძის ქუჩის დასაწყისში ქალთა 35-ე საშუალო სკოლას ოთხსართულიანი ლამაზი შენობა უჭირავს. სკოლაში ათასზე მეტი გოგონა სწავლობს. სკოლის დირექტორი პატივცემული ლიბა მელაძე დედობრივი მზრუნველობით უვლის ყველას. როდესაც დირექტორის კაბინეტში შევედი, მასთან ქალები ისხდნენ. მოწადეთა მშობლები მოსულან შეიღების სწავლისა და ყოფაქცევის მდგომარეობის გამოსარკვევად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლაში კარგად არის დაყენებული საქმე მშობელთა მონაწილეობისა სკოლის ცხოვრებაში.

სასურველ საუბარს წაავწყდი. დირექტორი მშობლებს სწორედ იმ თემაზე ესაუბრებოდა, რისთვისაც მე ვიყავი მისული. — ესაუბრებოდა ჰერბარიუმებზე.

— დაიბ, — განაგრძო დირექტორმა — მშობლებმა მოსწავლეებს ხელი უნდა შეუწყონ ჰერბარიუმების შეგროვებაში. ჰერბარიუმები — მცენარეების, მწერების, ამფიბიების, მადნეულობისა თუ სხვა ორგანიზმების თუ არაორგანიზმული ბუნების ნიმუშები დიდად ეხმარება მოსწავლეს საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლაში. მშობლებმა საშუალება უნდა მისცენ თავიანთ შვილებს ბუნებასთან ახლოს ყოფნისა და დაკვირვებისა.



მოსწავლეები ჰერბარიუმების აღბოძს ადგენენ.

— ჩემს ბავშვს გეოლოგიის კუთხე აქვს მოწყობილი. ყოველ წელს ჩამოაქვს რაჭა-ლეჩხუმიდან მთის სხვადასხვა ჯიშები. ალაგებს, წარწერებს უკეთებს, — გეოლოგი უნდა გამოვიდეთ ამობს, — თქვა ერთმა მშობელთაგანმა.

— და, აი, სწორედ შიტომაც გახლავთ ხუთოსანი თქვენი ქალიშვილი.

ბოლოში მოვიხადე, მისვლის მიზეზი ავუხსენი დირექტორს და ნება ვთხოვე დავეშვი კაბინეტში, სადაც მოწადეთა მიერ შეგროვილი ჰერბარიუმები იყო მოთავსებული. დირექტორმა ბიოლოგიის კაბინეტის ხელმძღვანელი, პატივცემული მასწავლებელი მერი ფაქულიშვილი გამაცნო. მერისთან ერთად წავედი ბიოლოგიის კაბინეტში, რომელსაც საუკეთესო ოთახი აქვს დათმობილი.

— კარგ დროს მობრძანდით, ახლა კაბინეტში პიონერთა აქტივი მცადინეობს, პატარა მიხურონიელები. — მიიხრა მერიმ და კაბინეტის კარები გააღო. კაბინეტიდან საუბარი ისმოდა, მაგისტს რამდენიმე წითელ-ყვალსხვევიანი გოგონა უსხდა. ჩვენს დანახვაზე წამოიშალნენ. ვეცნობით მათ ჰერბარიუმებს. მოსწავლე ევგენია ოქელაშვილს



სოფელ წყნეთში ოცამდე სხვადასხვა პეპელა შეუგროვებია.

— ჩვენ ძალე შევუდგებით მწერების შესწავლას და ჩემი კოლექცია მე და ჩემს ამხანაგებს გაკვეთილების ათვისებაში დაგვეხმარება. — ამბობს ევგენია და მორცხვად ეღიმება.

— ახლა რაზე მსჯელობდით? — შეეკითხე ერთ-ერთ მათგანს.

— აი ჩვენი მსჯელობის საგანი. — მიპასუხა პიონერმა და მაგიდაზე მდგარ შუშის ქილაზე მიმითითა, საიდანაც იცქირებოდა ყველას ნაცნობი ყიყინა ბაყაყი.

— ჩვენ ეს თბილისის გარეუბნიდან მოვიყვანეთ. ახლა მის გარეგნობას ვსწავლობთ. ძალე, როცა ამფიბიების შესწავლას შევუდგებით, ამ ბაყაყს გავკვეთავთ.

— მართლაც რად უნდა გაკვეთოთ? — შეეკითხე მე პიონერებს.

— ბაყაყის გაკვეთისას ჩვენ შევისწავლით მის შინაგან აგებულებას. — მიპასუხა პიონერმა, VI კლასის მოსწავლემ ბელა შუბლაძემ.

ბევრი რამ აქვთ მოსწავლეებს აქ შეგროვილი. აგერ მეორე შუშის ქილა, მტკვრიდან მოყვანილი პატარა თევზებით. აგერ რამდენიმე ალბომი, ბოტანიკის შესწავლისათვის. მერი ადამაშვილს კასპის რაიონში, სოფელ თელადგორში მცენარეთა ფოთლები შეუგროვებია, ჯგუფად დუჟყვია: ერთ ჯგუფში არის მარტივი ფორმის ფოთლები, რომელთაც ბალსებრივი ნევრაცია აქვთ, მეორე ჯგუფში წარმოდგენილია პარალელური ნევრაციის მქონე ფოთლები და სხვ...

VI კლასელი ჯგუფეტა ჯიოვეა ყვავილობით დინტერესებულა და ბევრა საინტერესო სო ყვავილიც შეუგროვებია. მელქონი, მარცხენა ვილები და ხარებავა ზირას ბამბის ყვავილები და ხარებავა ბალახები შეურჩევიათ. ამ კაბინეტის ავტორიტეტები არიან: ზუთოსნები ჩხაიძე იზა, იმედაშვილი ლიანა, კარტოზია მერი, ენუქიძე ლარა, კვირიკაშვილი და სხვები.

— დღეს ამ კაბინეტში თავთავიანი კულტურების ჯგუფს ვასწავლიდი, — თქვა მასწავლებელმა, პატივემულომა მერიმ, და დიდად დაუმხმარა მოსწავლეთა მიერ მოტანილი ჰერბარიუმები. აი, ეს შერიაა, ეს წითელი თავთუხის თავთავია, ეს კიდევ თეთრი თავთუხისა, ესეც უკრაინული ხორბლის თავთავია, ესეც კიდევ ექვსკვერდა ჰერბარიუმები სწავლებას აადგილებს, როგორც გადაცემის დროს, ისე ათვისებაში. ჩვენი სკოლა, პიონერ აქტივთან ერთად, იბრძვის, რათა ყოველი მოსწავლე მივიყვანოთ ბუნებასთან ახლოს, შევეყვაროთ ჩვენი ქვეყნის ბუნება, ძალე ათვისოს და შეისწავლოს ჩვენი სამშობლოს მდიდარი მთაველი. ეს დაეხმარება მათ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბუნების გარდაქმნა-აყვავების საქმეში.

კიდევ დიდხანს დავრჩებოდი ძვირფას თანამოსაუბრეთა შორის, მაგრამ სკოლის ზარმა გვაუწყა, რომ ბიოლოგიის კაბინეტში გაკვეთილი იწყებოდა.

გვ. ბერძენიშვილი



თბილისის 35-ე ქალთა საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი მერი ფავლენაშვილი მე-6 კლასის მოსწავლეებს ახალ გაკვეთილს უხსნის მარცკლოვინთა კულტურის შესახებ. ფოტო რ. აკოფიძისა

მეწიესკვადრი



ელიზბარ უმილაა

მ თ ბ რ ბ ა

ნახატები გ. ფოცხვილიას

ნაწიესკვილარში ბალახი ამოსულიყო. ნიაღვარს ამოეყოლა ღარისთავი და პირამდე მოესილა არხი. წიესკვილის პირდაპირ გაბმული ბონდიც არ დაენდო წარღვნასავით მოვარდნილ ზვირთებს. მდინარისაკენ წახრილი ხავეყმი ძელები-ღა შერჩენოდა მორღვეულ ნაპირებს ხიდის მოსაგონებლად...

წიესკვილის ახლოს აღმართული პატარა ბეჭობი, რომელსაც კლარისა და აკაციის ჩრდილი დღენიადგ ხალისასავით ეფინა, წიესკვილში მოსულებსა და გამველ-გამომველულებს თავისკენ იზიდავდა. მაგრამ წიესკვილისა და ხიდის ერთბაშად წაღვეყამ ამ აღდგინი ყველანი გადააჩვია.

მხოლოდ ყოფილი მეწიესკვილე, მოხუცი მახარე ბოლომდე დარჩა ბეჭობისა და მისი მიდამოების ერთგული. მუდამ დღე, დღიას თუ საღამოს, იქ ფუფფუსებდა წელში მოხრილი მახარე. ხან ფიხებდა და ნაფოტებს აგროვებდა ნაწიესკვილარის ირგვლივ, ხან ნაარხალს ავადებდა აწწლიანებსა და კინკრებში თხებს აძოვებდა...

არავინ იცის, ახლა მაინც რატომ არ სცილდებოდა ამ ადგილს მახარე, როცა წიესკვილი აღარ იყო, მაგრამ ვინც მახარეს ახლოს იცნობდა, მის ასეთ საქციელს არ გაიკვირებდა.

მთელს მაქახელას ხეობაში, სადაც უმაჩრავი წიესკვილეობა ჩადგმული, ეს ერთადერთი წიესკვილი იყო, რომელიც ზაფხულის ნიაღვრებსა და ზამთრის ყინვებს უძლებდა. მისთვის სულ ერთი იყო სიძინდი, ქვევი თუ სოია, თვალის გახეილის უმაჩრავი მარცველულს ფევილად ჩამოახვევებდა.

წიესკვილისადმი მახარეს სიყვარული მართა ამით არ იყო გამოწვეული. მისი შოთვეული წინაპრები აქ ერთ დროს ღვინის ღვინის დამუშავებას ეწეოდნენ და მაქახელურ კა-

ქიან თოვლებს შედავდნენ, აგრეთვე საუკეთესო მეწიესკვილეებიც იყვნენ. ცალკე მკედლობის და ცალკე წიესკვილის შემოსავლით მახარეს წიესკვილებს შეეძლოთ არხებიანდ ეცხოვრათ, მაგრამ ბეგებისა და ხოჯების თავგასულ ბატონობას, როგორც სხვა აჭარლები, ისე ისინიც ვერ გაეცქნენ, ღარიბებად დარჩნენ, მეწიესკვილეობამ და მკედლობამ მაინც სახელი შორს გაუთქვეს.

მახარემაც წინაპართაგან ძალუნებურად შეისისხლბორცა წიესკვილის სიყვარული და მისი ბურჯი ვახდა. ეს ძველისძველი წიესკვილი დიდი ხანი მახარეს საუფრება აღარ იყო. მახარე მაინც სიამოვნებით განაგრძობდა იქ მუშაობას. წიესკვილში მოსულს დიდსა და პატარას თავაზიანად ხედებოდა და ემსახურებოდა. ალლი და ზედმიწევნით პატიოსანი მახარე თანასოფელულებს უყვარდათ და პატივსაც სცემდნენ.

მას შემდეგ, რაც დიდი წყალდიდობის დროს წიესკვილი ნიაღვარმა წაიღო და მისი აღდგენის იმედიც დაიკარგა, მახარეს ხასიათი შეეცვალა, გახრვიულდა, მიუკარებელი ვახდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასაც აუგად ახსენებდა, უსულგულოდ რომ მოეცოდა წიესკვილის აღდგენას. სხვას ვინ ჩიოდა, იბღლად ნიაღვარს გადარჩენილი დილობა რომ არ წაეღო აქედან, რაღაც საქმეცოდა „ქარის წიესკვილის“ გასამართავად.

— წყეული მაქახელა! — ბოღმინად ამოიხრავდა ხანდახან მახარე და ბრახით გადახევდა მთის გეგმე მდინარეს, რომელიც თითქოს მეწიესკვილის ვასახლებლად კისრისტებით გარბოდა მღვრიე კოროხისაკენ. იმედის თვალით გაკუტრებდა მახარე შობილიერ ხეობას, სადაც წაბლისა და კაკლის ხეებით მოფენილ ციცაბო ფერღობებზე ცი-



ცინათელმეივით გამოკრთოდა აკარული ოღები, მაგრამ ვერავითარ სანუგეშოს იქი-
ლი ვერ პოულობდა, მახარესათვის არა-
ვის სცხელოდა. მხოლოდ ნაწიკვილარში
ყოფნა იყო მისთვის შევება.

ერთ დღეს, ვინ მოსთვლის მტრამდენედ,
კვლავ გულდავსულ დაათვალიერა არხი და
რა კი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ
წისქვილის საქმე განწირული იყო, დაღონდა,
ნახევრ ბებობზე წააშოწა და ღრმა ფიქრებ-
ნი ჩასთვლია...

ესიზმრა: ვითომ მისი მამამაპეული წისქვი-
ლი კვლავ მუშაობდა. უმარავი საფეკვიო მოე-
ტანით და შიგ ერთი ღრიანცელი იღვა.
იმდენი წყალი მოდიოდა, რომ ღარში ვერ
ეტეოდა. მურდულივით წამოსული წყალი
ბარბლის ფრთებს სააშურად ეჩქეფებოდა,
რაც, მახარეს აუწერელ სიამოვნებას გვირი-
და.

ტკბილი იყო ეს სიზმარი, მაგრამ იგი
დიდხანს არ გაგრძელდებოდა. წყლის ხმაურ-
სა და ძახილზე გამოღვიძდა. მისი ძმისწული,
ახალგაზრდა ბაგრატი თავზე წამოსდგომო-
და. მახარე ზანტად წამოიძარა და ნამძინა-
რევეი თვალთ უინტერესოდ შეხედა ძმის-
წულს.

რამდენი წელიწადია ობოლი ბაგრატი მა-
ხარესთან იზრდებოდა და დღეს პირველად
შენიშნა ჭაბუქმა, რომ თავისი ბიძა სიბერეს
ნადრეველ დაეჯახნა, თვალეში ბინდი
ჩასდგომოდა. უსიციცხლოდ იყურებოდა
ნაწიკვილარისაკენ.

ორთა შორის ჩამდგარი სიჩუმე კვლავ
ბაგრატმა დაარღვია...

— წისქვილში გეძახიან,
ბიძაჩემო, ხალხი გელოდუ-
ბა!— მორიდებით, მაგრამ
მკვირცხლად უთხრა ჭაბუქ-
მა.

ძმისწულზე ცოტა არ
იყოს ამრეზილი ბიძა პირ-
ველად არც კი გამოეხმაუ-
რა ბაგრატს. ცოტახნის შემ-
დეგ უკან მოუხედავად სა-
ყვედურის კილოთი შეე-
კითხა:

— რომელ წისქვილში?
— ელექტრონის წისქვილ-
ში, ახლა რომ ავაგეთ!

ამ სიტყვებზე უცებ თავი
მოაბრუნა მახარემ და
მის ახლოს მორჩილად
მდგომ ბაგრატს ბრაზიანად
მიაგება:

— შენ კიდევ არ დაანებე თავი მასხრობას?
იმისათვის ვზიღვ შენთვის ოთხი მუცელქვეშა
მკვადი და ყურუთი, რომ შერე მასხრობას
მოსახლეობა გავკეთო?

— რატომ მეუბნები, ბიძაჩემო, მაგას, რა-
თა ხარ იქმზე გულნატკენი?
— რათა და შენ შეთავრობ ამ ხეობაში
გამართულ თამაშობას. შენ გემდური, აბა
ეს!

ბიძამისის მორჩილი და პატივისცემული.
მაგრამ თავის საქმეში მტკიცედ დარწმუნე-
ბული ბაგრატი, დაბეჯითებით სთხოვდა მა-
ხარეს წაყოლოდა წისქვილის სანახავად...

მახარე კვლავ ცივ უარზე იყო.
ამ დროს მდინარის გაღმა ნაპირს ცხენოსა-
ნი კაცი მოადგა. მან მოურიდებლად შეაგლო
ცხენი მაქახელას ზეიარეში და ერთი და-
კერით გამოღმა გამოფონა.

ბაგრატმა შორიდანვე იცნო კოლმეურ-
ნობის თავმჯდომარე. მან როგორც კი ბაგ-
რატს თვალი გაუსწორა, გაკვირვებულმა
ხმაძალა შესძახა:

— შენ აქ რა გესაქმება ბაგრატ, ვანა არ
იცი საღამოს წისქვილი უნდა ავაშუშაოთ!
ცხენოსაში მეჩვე მახარეს მიუბრუნდა...

— შენც უნდა წამოხვიდე მახარე, აქ რა-
ღას უციდი, იქ ხალხი გელოდება, შენ უნდა
იყო პირველი მეკველა, როგორც ძველი მე-
წისქვილი, — ესა თქვა და თავმჯდომარემ
ლონივრად შემოკრა ცხენს მათარაბი. მხედარ-
ი უცებ გაუჩინარდა სიმინდის ყანებს გადა-
ღმა, კაცვლების ჩერაში.

თავმჯდომარის უქანასკნელმა სიტყვებმა
მახარეს გული მოუღობო და უსიტყვოდ მიჰ-





ყვა ბაგრატს. მდინარის ნაპირებით იარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლის შუაგულში იყვნენ.

ელექტროსადგურის გვირდით გამართული წისქვილის ეზოში უამრავი ხალხი იტყვიდა. მახარეს გამოჩენა ყველა მათგანს გაუხარდა. ბავშვებმა ტაშიც კი შემოჰკრეს...

ღამნაშავესავით თავდახრილი, მაგრამ თავისებური თემოყვარეობით გაჯიუტებული მახარე გავირეგებას არ იმჩნევდა. დინჯად ათვლიერებდა იქაურობას.

წისქვილის წინ კაკლის ნაძორზე ჩამოჯდარმა თავმჯდომარემ მახარე მასთან მიიხმო, გვერდით დაისვა და დაყვავებით უთხრა:

— ახალი წისქვილის გამგე დღეიდან შენ იქნები მახარე, მონტირად და მემანქანედ ბაგრატი გეყოლება. თუ რამე გაგიჭირდება, ჩვენც აქა ვართ. იმედი გვაქვს შენებურად მოუვლი ამ სახალხო კონებას.

მახარესათვის სრულიად მოულოდნელი

იყო ეს, მაგრამ მისი არაფერი უთქვამს, თითქოს შეიფერა.

— და როგორც წისქვილის გამგე, — განაგრძობდა დარბაისელი თავმჯდომარე, — პირველი მარცვლებიც შენი ხელებით უნდა ჩაიცვიდეს ხეშირში. პირდაპირ საქმეს შევედგეთ!

თავმჯდომარე წამოდგა და წისქვილში შევიდა. უხერხულობაში ჩავარდნილი მახარე პირველად თითქოს დაინბა, მაგრამ მერე თავმჯდომარეს უსიტყვოდ მიჰყვა.

ორიოდ წუთის შემდეგ მახარემ თავი მოხსნა საესე ტომარას და შიგ ხეშირში ჩხრიალით ჩაუშვა ოქროსფერი მარცვლები.

მახარეს თითქოს ფრთები შეესხაო, უცებ კარისაკენ გაიქრა ღარში წყლის მისამებებად, მაგრამ ამ დროს ბაგრატმა დენი ჩართო, დოლაბი და სარეკელა ხმაუწყობლად ახშიანდნენ.

მახარე კარის ზღურბლზე შედგა. ცალი თვალით სახეგაბრწყინებულ ბაგრატს შეხედა და ოდნავ დარცხვენილმა თავი დახარა...




რა სიმდიდრეს ფლობდა რუმინეთის მეფე

დიდი ხანი არაა, რაც რუმინელი ხალხი განთავისუფლდა მეფის ხელისუფლებისაგან და თავისი ქვეყანა სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. ყოფილი მეფე მიხაი, თავის ნათესაებთან ერთად, წავიდა საზღვარგარეთ და იქ განაგრძობს ძირგამომხრელ მუშაობას რუმინეთის სახელმწიფოსა და ხალხის წინააღმდეგ. ამის გამო რუმინეთის მთავრობამ ჩამოართვა მიხაის და სამეფო ოჯახის სხვა წევრებს რუმინეთის მოქალაქეობა.

თავისი მეფობის განმავლობაში რუმინეთის სამეფო ოჯახმა ხელში ჩაიგდო უზარ-

მაზარი სიმდიდრეები. მას ეკუთვნოდა 15.000-ზე მეტი ჰექტარი სახანავი მიწა და, დაახლოებით, 137.000 ჰექტარი ტყე, 29 სასახლე 1.081 ოთახით, 114 სახლი 1.979 ოთახით, 16 სამონადირო ციხე-დარბაზი, ვილები 88 ოთახით, და უამრავი ძვირფასეულობა.

ამჟამად ყველა ამ სიმდიდრეს მისი კანონიერი მფლობელი—რუმინეთის ხალხი პატრონობს.



რიზების ბრძოლა

რა ბრძოლა ატყდა ქურნალში,
უცნაური და საზარი,
სამებს გაებათ ფერხული,
ფურცლებს გაჰქონდათ ზანზარი...

ორებიც სამებს მიემხრნენ,
ხუთებს დაუწყეს გინება.
— ბავშვთათვის მარტო თქვენა ხართ
სასახელო და დიდება?!

უწინ ჩვენ გვეპყრა ქურნალი,
წინ ჩვენ ვიდევით თქვენზედა,
გატყობთ, რომ გინდათ, ხუთებო,
ერთიც არ ვიდგეთ ფეხზედა.

ახლა ოთხებსაც შეხედეთ!
თავი უჭირავთ ამაყად,
ჩვენს წინ დგებიან ქურნალში,
თითქოს-და ტოლი არა ჰყავთ.

თქვენს მიღებაზე სწავლითა,
წელში წყდებიან ბავშვები.
ჩვენ კი ადვილად გვიძენენ
ზარმაცი ახლაგაზრდები.

მეტად სამძიმო დრო გვიდგას,
განა დავკარგეთ ძალ-ლონე?!

აბა, აქედან მოჰკურცხლეთ,
ხუთებო, ნულარ გვალონებთ! —
ხუთებმა უთხრეს:—რას ბოდავთ,
თქვენ ყველა გიცნობთ. ვინცა ხართ;
როს ბავშვებს მოველინებით,
მათი ტირილი გინახავთ?!


ჩვენით ამაყობს დღეს ყველა
სიძნელის გადამახველი:
ვისაც კი უყვარს სამშობლო,
ვისაც კი უყვარს სახელი.

სად თქმულა თქვენი კარგობა,
თქვენ ლაჩრებად ხართ ცნობილი,
მეტი არ გნახოთ ჩვენს ახლოს,
არა ხართ ჩვენი ძმობილი.

უთხრეს თუ არა, ხუთები
აენთნენ ცეცხლის ალივით
და ორებს თავზე დიეცნენ
მრისხანე ქარიშხალივით.

თავკუთ დამძვრალი ორები
გარბოდნენ, გზაში კვდებოდნენ
და საზეიმოდ ქურნალში
ხუთები იკრიბებოდნენ.

თამარ ლომინაძე





მტერმა უდიდესი ზარალი მიაყენა სტალინგრადს. იქ, სადაც ომამდე ლამაზი შენობები იყო აღმართული, მშენებური ბაღები, ხეივანები და სკვერები იყო გადაშლილი, დანგრეულ ნაგებობათა ჩონჩხები-ღა, ორმოები და თხრილები დარჩა.

მთელი საბჭოთა ხალხი შეუღდა გმირი ქალაქის აღდგენას. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან სტალინგრადისაკენ დაიძრა მშენებელთა არმია, ეშელონები საშენი მასალებით, სტალინგრადი საყოველთაო-სახალხო მშენებლობად იქცა. კომკავშირელებმა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა არმია შეტევის ბრძოლებში აწარმოებდა, სტალინგრადის აღსადგენად უდიდესი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს.

1943 წლის აპრილში ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა შეფთობა აიღო სტალინგრადის აღდგენაზე. მაშინ გმირ ქალაქს ყოველი კუთხიდან ეწვივნენ კომკავშირის წარგზავნილები. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების საბაჟსურად 25 ათასი ახალგაზრდა მოხალისე სტალინგრადს ჩავიდა მტყიცე გადაწყვეტილებით — აღდგინა ქალაქი, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს.

აღმდგენელთა მთელი არმია, სიძნეულების მიუხედავად, დაბრკოლებათა გადალახვით, ძალასა და ენერჯიას არ ზოგავდა აღდგენითს სამუშაოებზე.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო დაუფრო გარკვევით ჩანდა სტალინგრადის ახალგაზრდა აღმდგენელთა, მშენებელთა გმირული თავდადების ნაყოფი, სტალინგრადელთა პატრიოტმა ქალმა ალექსანდრა მიქსინის ასულ-

მა ჩერკასოვამ საფუძველი ჩაუყარა საცხოვრებელი ბინების აღდგენის მასობრივ მოძრაობას, რომელიც „ჩერკასოველთა მოძრაობის“ სახელწოდებით საქვეყნოდ ცნობილი გახდა.

ჩერკასოველთა წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურა სტალინგრადის ახალგაზრდობა. კომკავშირელებმა პირველ ყოვლისა ხელი მოკიდეს პირველი სტალინური ხუთწლედის პირშეშოს — სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღდგენას. 1943 წლის 19 ივლისს სატრაქტორო ქარხნის თბოელექტროცენტრალმა პირველი დენი მისცა ქალაქს, აციმციმდნენ ილიჩის სათურები... 1943 წლის 31 ივლისს მეტალურგიული ქარხნის „კრასნი ოკთაბრის“ მარტენის ღუმელმა ლითონის პირველი შენადნობი მისცა ქვეყანას. სამი თვის შემდეგ მწყობარში მარტენის მეოთხე ღუმელი ჩადაგა.

1943 წლის დამლევისათვის სტალინგრადში აღდგენილ იქნა 633 სახლი, ცენტრიდან მუშათა რაიონებისაკენ ტრამვაი დაიძრა, „ტრაქტორშენი“ კვლავ სატრაქტორო ქარხნად გადაიქცა. 1944 წლის 17 ივნისს ქარხანამ პირველი ტრაქტორი გამოუშვა. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად სტალინგრადის მშრომელებმა, ახალგაზრდობამ აღადგინა და მოქმედი საწარმოების მწყობარში ჩააყენა სატრაქტორო ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა „კრასნი ოკთაბრი“, სამედიცინო მოწყობილობათა ქარხანა და ათობით სხვა საწარმო.

სტალინგრადში ახლა ნანგრევები როდი განსაზღვრავენ ქალაქის პეიზაჟს. ნანგრევები, ცხადია ჯერ კიდევ დარჩნენ, მაგრამ ისინი სიყვანძვით დარჩილია ზარალით კაშხულმა ქალაქმა. ქვაფენილების გასწვრივ და ხეი-



ენებში დაურავთ ახალი ხეები, სტალინგრა-
დის სატრაქტორო ქარხანა უკვე ომამდელი
სიმძლავრით მუშაობს. აშენდა ახალი
სტალინგრადის ქუჩები, მუშაობენ ინსტი-
ტუტები, თეატრები, სკოლები, ასობით და-
წესებულებები. სტალინგრადელებს შორის
ფართოდაა ვაჩაღებული სოციალისტური
შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში
შესასრულებლად.

სტალინგრადის კომკავშირი, რომელიც დი-
დი სამამულო ომის წლებში გამოჩენილი გმი-
რობისათვის და სოციალისტურ მშენებლო-
ბაში აქტიური მონაწილეობისათვის, საკ-
ალკე XXX წლისათვის დაკავშირებით,
ბრძოლის წითელი დროშის ორდენით დაჯი-
ლდოვდა, წმინდად ინახავს გმირი ქალაქის სა-
ბრძოლო ტრადიციებს, იმ მეგობრებისა და
აზნაურების, მებრძოლების ხსოვნას, ვინც
თავის მგზნებარე სიცოცხლე შესწირა ქალა-
ქის განთავისუფლების საქმეს, შრომითი
მამაცობით ღირსეულად ამართლებს მთა-
რობის მაღალ ჯილდოს. საქმით ამტკიცებს
უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას
საქმობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისად-
მი, დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა ადამიანები ომის მორსხანაში
ში სტალინგრადულად იბრძოდნენ და
დგურებდნენ მტერს, ახლა ისინი სტალინგრა-
დულად შრომობენ დიად მშენებლობათა ხა-
რაზიობებზე. არქიტექტორების სახელოსნოებ-
ში შექმნილი საუცხოო პროექტები, მკვეტე-
ბი ნამდვილ შენობებად, კვარტალებად იქ-
ცევიან. უკვე გარკვევით ჩნდებიან დასახლე-
ბული უბნები, რაიონები, ბალები, ხეივანები,
საუცხოო ნაგებობათა ანსამბლები... დაღუ-
პულ მებრძოლთა მოედნიდან გადაიმლება
მშენიერი სანახაობა მდინარე ვოლგამდე.
ფართო და გრძელ სანაპიროს გასწვრივ, გმი-
როთა საფლავებზე დიდების ძეგლები აღიზარ-
თება. ხეივანში, მამაევის ისტორიულ ყორ-
ლანზე წამოკიმულ ობელოსკებზე, რომლებიც
სტალინგრადის გმირ-დამცველებს განასახიე-
რებენ სიმბოლიურად, წითელი ვარსკვლავე-
ბი ინათებენ და გამარჯვების შუქს მოჰფე-
ნენ ქალაქის მიდამოს, იმ ქალაქისას, რომე-
ლიც მეოთხედი საუკუნეა ღირსეულად ატა-
რებს კაცობრიობის უდიდესი ადამიანის —
სტალინის სახელს.

ნიკოლოზ ჯავი

თქვი რა გიყვარს!

აქეთ კომში, იქით მსხალი,
ხელებს გიქნევს, ხედავ, ნუში.
თქვი რა გიყვარს, ჩუარჩხელები,
ნიკოზი თუ ფელამუში!
— მე მომწყვიტე, სად მიდხარ! —
ჩაგჩუარჩულებს ვაშლი ყურში.

ატამი ხომ თავს გაწონებს
და სიმძიმით ძირს იხრება,
კანდამსკდარი შავი ლეღვი
შაქარივით პირში დნება.
ერთი შეხე, ხეკეჭური
თავისთავად გიგორდება.

ტბილზე ტბილი წვენი გასდის
საწნახელში ყურძნის მტევანს,
მთაში, ბარში, შინ თუ გარეთ
ნეტარების ხმა ირხევა.
ჰე, ამდენი მოსავალი,
ნეტავი, სად დაეტევა!

ილიმება ბროწეული
სიმწიფისგან გახლეჩილი.
ერთი შეხე, მთად დამდგარა
იქით ხილი, აქეთ ხილი.
რა კარგია შემოდგომა
ასე მსუყე ასე ტბილი!

პახანზ გოგბანელი





ასი წლის წინათ პარიზში, 39 წლის ასაკში, გარდაიცვალა ფრედერიკ შოპენი — გენიალური პოლონელი კომპოზიტორი და მსოფლიოს უშესანიშნაესი პიანისტი.

ფრედერიკ შოპენი დაიბადა 1810 წელს ვარშაის ახლოს. მამა მისი ეროვნებით ფრანგი იყო — პოლონელ გრაფ სკარბეკის ბავშვების მინაური მასწავლებელი, ფრიად განათლებული და კულტურული ადამიანი. კომპოზიტორის დედა კი პოლონელი იყო. გაღარიბებული აზნაურის ოჯახიდან. შოპენს გასაოცრად ადრე გამოუჩნდა მუსიკალური ნიჭი — 9 წლის ბიჭი უკვე გამოდიოდა საჯარო კონცერტებში. 1830 წელს უკვე დასრულებულმა კომპოზიტორმა და სახელმწიფო კომპოზიტორმა დასტოვა ვარშავა; მალე იგი პარიზს გადავიდა საცხოვრებლად.

მამინ პოლონელი ხალხის ეროვნული ინტერესები ითვლებოდა ნიკოლოზ პირველის რუსეთის მიერ. რუსეთის ჯარებმა ჩაიშვეს პოლონელ პატრიოტთა აჯანყება. რის შემდეგ, პოლონეთში გამედგა შავბნელი რეჟიცია. ფიჭვი მრავალტანჯულ სამშობლოზე გენიოს კომპოზიტორს მუდამ აწევებდა. მშობლიური პოლონეთისა და პოლონელი ხალხისადმი სიყვარულის, მათი განთავისუფლებისადმი მისწრაფების სუსტი სიყვებებითაა დაწერილი შოპენის მრავა-

ლი შესანიშნავი ნაწარმოები. სამშობლოდან გადახვეწილმა კომპოზიტორმა 1836 წელს გაიცნო სახელგანთქმული ფრანგი მწერალი ქალი ეოზე სახლი და შემდეგ დაუახლოვდა მას. ეოზე სანთან დაახლოების წლები (1839-1845) იყო შოპენისათვის გამსაკეთებელი შემოქმედებითი აღმადრენის პერიოდი.

1849 წელს მძიმე სენით შეპყრობილი შოპენი გარდაიცვალა პარიზში, პარიზშივე დააფლავეს, ხოლო მისი გული სამშობლოში ჩამოასვენეს და მიიბარეს მშობლიურ მიწას ვარშავაში.

შოპენის სახელი ცნობილია მთელს მსოფლიოში. მისი მუსიკა ახლობელს ყოველი ეროვნების ადამიანისათვის. შოპენის ყოველი ნაწარმოები — პოლონეზი თუ ვალსი, მანტრეა თუ პრელუდი, ეტიუდი თუ სონატა, — გამსჭვალულია სამშობლოსადმი სიზნორი სიყვარულის, ხალხისადმი სამსახურის, თავისუფლებისა და უკეთესი მერმისისაკენ მისწრაფების სულისკვეთებით.

შოპენის მუსიკალურ ნაწარმოებთა არაჩვეულებრივი პოპულარობა გამოწვეულია იმით, რომ ეს ნაწარმოებები უაღრესად ნათელს, გასაღება ფორმებში ესაუბრებიან მსმენელის სულსა და გულს. ისინი გაუღწეობილი არიან ხალხურობის მოტივებით. შოპენი პოლონელი ხალხის მუსიკალური გენიის მაჩვენებელი გამოიხატა. შოპენის მინიალური შემოქმედება მკიდროდა დაკავშირებული მშობლიურ ერთან, მის სულიერ კულტურასთან. შოპენის მთელს შემოქმედებას, საფუძვლად უდევს ნაციონალურ-პოლონური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა, რაც გენიალურმა კომპოზიტორმა უდიდეს სიმძალემდე აიყვანა. შოპენმა თავის მუსიკაში უფაქიზესად შეინახა სლავური სული. მისი მუსიკა ღრმად იდეური, მელოდიური და რეალისტურია. ამიტომაც გვიყვარს ჩვენ ესაოდენ ძლიერ დიდი შოპენი. უღრმესი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ გენიალური რუსი კომპოზიტორები შოპენის სახელს. მის შემოქმედებას. რუსი პიანისტები უდიდესი ოსტატობით ასრულებდნენ და ასრულებენ შოპენის ნაწარმოებებს. საბჭოთა პიანისტებს არაერთხელ გაუმარჯვნიათ პიანისტების შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსებზე.

უაღრესად ახლობელი, საყვარელი და ძვირფასია გენიალური პოლონელი კომპოზიტორი ფრედერიკ შოპენი საბჭოთა ხალხისათვის.

მ. დამებრაძე



ქ. გოგიაშვილი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

ამ ზეპასს, საღატოელთს სსრ განათლების სამინისტროსა და საღატოელთს ალკუ ცენტრალური კომიტეტის მაჭ საეკუაქოს საზავმეტ-ნსაცვრულ ნაგარბოქმზე ვაშთსადეშულ კინეუბსში, 1949 წელს, შიგბრუ ბრეშის მიწინაქა.

ზღაპარი 4 მოქმედებად

მოქმედანი:

1. ნაცარა — დედა კურდღელი
2. ბაზიკო — ბაქეები, ნაცარას შვილები
3. ბიზიკო — კუდებით და მოყლე უბრებით
4. გოცორა — ზოცორა იგივე ცერცება
5. დათუნი — დედა დათვი
6. ათული —
7. ბათული — დათუნის ბელები
8. წანწალა — დედა მელია
9. ცანწალა — წანწალას შვილი
10. ირმა — მამა ირემი
11. ქროლია — დედა არწივი
12. ბასრა — ქროლიას მართვები
13. კაუზა —

1-ლი მოქმედება

(სცენის სივრცეში მოჩანს ტყე. წინა პლანზეა სტაფილოს რიელებიანი და კომბოსტოს ფურცლით გადახურული ნაცარას სახლი ეზოთი და კიშკრით. მარცხნივ ბოსტანი. თენდება. იმის ჩიტების ელურტული ერთ-ერთი ჩიტო ბოსტანში მშენსუზირაზე შემოჯდება: უიკეკებს, გაფრინდება. ისწენება სამი დიდი კომბოსტო, საიდანაც თავს ამოყოფენ ბაქეები).

- ბაზიკო — გათენებულა.
 ბიზიკო — მზე ამოღის, მზე.
 ცირცება — ვიშ, რა კარგია...
 ბაზიკო — დედიკო სად არის?
 ბიზიკო — დიღინი არ გესმის? ოთახს ალაგებს.
 ბაზიკო — (ანზორებს) უშ, რა კარგად მეძინა!

- ბიზიკო — მეც!
 ცირცება — ჩქარა, მზეს ვუმღეროთ, თორემ შემდეგ ტყეს მიეფარება.
 ბაზიკო და ბიზიკო — ვუმღეროთ, ვუმღეროთ!
 საშივი — (მღერიან)
 თეთრი ბაქეები ვართ,
 ბაღში ფრთხილად დავრბივართ,
 ვეფარებით ბურჩქებსა,
 ვაცაქუნებთ ტურჩებსა.
 (მისამღერი) დავცანცალებთ: წკაპ, წკაპ, წკაპ,
 ვაქნატუნებთ: კნატ, კნატ, კნატ.
 ცანცალები, კარგები,
 უურცქვრები, მარდები;
 გვიფარს ნორჩი საქილო,
 კომბოსტო და სტაფილო.
 (მისამღერი) დავცანცალებთ: წკაპ, წკაპ, წკაპ,
 ვაქნატუნებთ: კნატ, კნატ, კნატ.
 თეთრი უურცქვრები ვართ,
 ვკოტრიალობთ, დავრბივართ;
 გვიფარს ბოსტან-ბაღები,
 სახლი, კობტად ნაგები.
 (მისამღერი) დავცანცალებთ: წკაპ, წკაპ, წკაპ,
 ვაქნატუნებთ: კნატ, კნატ, კნატ...
 (ვეკავენ ფერხულს)
 ნაცარა — (ივნიღან, ცოცხით ხელში, თაქსაფრით და ხალათით ეძახის) ბაქიკო!
 ბაზიკო — აქა ვარ დედიკო!
 ნაცარა — ბიქიკო!
 ბიზიკო — აქა ვარ, დედიკო.



ნაცარა — ბოცორა!

ცარცება — აქა ვარ, დედიკო...

ნაცარა — (ხალათს იხდის, თავსაფარს იხსნის, ჩამოდის აივნიდან, ხელში კალათით და კომპოსტის ფურცლის ქოლგით, რომელსაც სტაფილოს ტარი აქვს) ბაქიკო! ეზოს დაგვა არ დაგავიწყდეთ.

ბიზიკო — არა, დედიკო.

ნაცარა — ბიკიკო! სურით წყალი ბუხართან დგას, ჭურჭელი ფრთხილად დარეცხე და გაწმინდე.

ბიზიკო — კარგი, დედიკო.

ნაცარა — შენ კი, ბოცორა, სულ თამაში არ გაჩაგებს, წინალებს ხომ ხედავ? ის გაჩაღვეული ღობე გააკეთე, წუხვილ ვილაც წუწკი შემოპარულა.

ცარცება — კარგი, დედიკო.

ნაცარა — ჭკუით იუაეთ, შეილებო, არსად წახვიდეთ. გიმეორებთ: არ დაგავიწყდეთ, რომ უამრავი მტერი გვევს, ჯერ თქვენ პატარები ხართ, როდესაც დრო იქნება, მე თვითონ გავასივინებთ. გაგაცნობთ ჩემს მეგობრებს: შეველს თავის ნუკრით...

ცარცება — ნუკრით?! რა კარგი სახელია, ნუკრი, ნუკრი, როგორი ნუკრი?

ნაცარა — როდესაც უფროსი ლაპარაკობს, უნდა მოუხმინო... კიდევ გაგაცნობთ ციყვებს, თრითინებს, ირმებს და თაფლიკამია დათვის თავის დათუნებით, რაც გითხრათ, კარგად დამამხსოვრეთ. მელია გაქძევრაა და მატყუარა, ტურა ჭურღია და ნაკლებად სანდო, მგელი ხარბია და გაუმამძღარი. მტერი ისეთი ადგილიდან მოგებარებათ, საიდანაც არ მოელოთ. ფრთხილად იუაეთ.

ბიზიკო — სად მიდიხარ დედა?

ნაცარა — ჩვენს მეორე ბოსტანში, კომპოსტო უნდა შევკრიფო და მალე მოვალ. თუ შემთავიანდეს, უჩემოდ ისაუბრეთ...

(ქოცინის ყველას)

ცარცება — დედიკო! მეც წამოგყვები რა...

ნაცარა — შენ აქ დარჩი და რაც გითხარის ის ვაკეთე.

ცარცება — შენი ქირიმი, მეც წამოვალ რა, წამიყვანე, თორემ ვიტირებ. შენ ხომ დამპირდი წაგოყვანო... (ტირის).

ნაცარა — ჩუმად. რა გაუგონარია... (მიღის)

ცარცება — უკან მისდევს) მეც მოვდივარ...

ნაცარა — ამ წუთში უკან დაბრუნდი... არ გამაჯავრო, თორემ ყურებს ავიწვევ.

ცარცება — არ მინდა აქ დარჩენა... მეც თან წამიყვანე...

ნაცარა — დაბრუნდი მეთქი... ცერცება... ჩქარა... (მიღის)

ბაზიკო — (აჯვარებს) ცერცება...

ბიზიკო — ცერცება... ცერცება...

ცარცება — თქვენ ხართ ცერცება...

ბაზიკო და ბიზიკო — ცერცება... ცერცება...

ცარცება — კარგით, ვაჩერდით, თორემ ვიტირებ. (ტირის)

ბაზიკო — (ბიკიკოს) ვაჩუმდი, ცოდვია... აბა, ახლა კი საქმეს შევუდგეთ... (იღებს ცოცხს, თავს წაიკრავს თავსაფრით, კარ-მიღამოს ქვეს და მღერის; დანარჩენებიც საქმიანობენ რაც დედამ დაუბარათ)
აბა, ცოცხო, ცოცხუნა,
მზემ უკვე დააცხუნა,
სულ ერთად ვიტარიალოთ,
ეზო დავაკრიალოთ.

აბა ცოცხო ცოცხუნა, (რწყავს) ბიკიკოს
ბაღია უკვე მორწყულა;
სუფთად როცა დახვდება,
დღედას გაეხარდება.

(ქვეს და განაგრძობს ღიინს, ბიკიკოს ჭურჭელი გაშოაქვს აივანზე და რეცხავს)

ბიზიკო — (მღერის) ვრეცხო ვწმინდო ჭურჭელი,

რომ არ დავრჩეთ უჩემოდ,
ეს თევზები ფრიალო
კარგად დავაკრიალოთ.

წაროს წყალი ციყ-ცივი,
ჭურჭელს რეცხავს სიცილით,
სუფთად როცა დახვდება
დღედას გაეხარდება...

ცარცება — (ღობავს და მღერის ტირილით)

რა ყოფილა ეს წწელი,
დამაფხაპნა ეს ხელი,
ვინ დამაშა აქ ღობე,
ვღობავ, და ვერ შევღობე.

ეს ჯოხი რა გრძელია,
მისი მოხრა ძელია;
და შვად რომ არ დახვდება
დედა გამაჯავრდება...

(უცხად წამოიყვებივებს) ვაი... ვაი...

ბაზიკო და ბიზიკო — რა იყო ბოცორა?

ცარცება — თათში ცალი შემერკო, მიშველეთი...

ბაზიკო და ბიზიკო — (მიცივილებიან) აბა,

გაჩვენე... ცარცება — აი, რამოდენა... ვაი, ვაი... ამომიღეთ რა!

ბაზიკო — (გამოაძრობს) აბა...

ცარცება — უა, როგორ მეწვის...

ბიზიკო — მოიცა... (ბალახს მოვლევს) აი, მრავალმარღვა დაიდ, და მოგარჩება (აღებს)

ბაზიკო — (სულს უბერავს) კიდევ გტკივა?

ცარცება — მტკივა, მაშ არ მტკივა?!

ბიზიკო — რა მოუხერხებელი ხარ, ყველაფერი შენ უნდა დაგემართოს...

ცარცება — მოუხერხებელია კი... დედიკომ ყველაზე ძნელი საქმე მე დამავალა... თქვენ კი... ჭურჭელს მე ვერ დავრეცხავდი? ეზოს მე ვერ დავვავდი? ეს თქვენ გააკეთეთ თუ ადვილია.

ბაზიკო და ბიზიკო — არ იცი, რომ გავაკეთებთ?

ბაზიკო — ბიკიკო... წწელიმ მომარწოდე, მე შევღობავ...

(ბიკიკო წწელს აწოდებს, ბიკიკო ღობავს)

ცარცება — ვაიმე!.. მუცელი ამტკივდა; წავალ, სახლში წამოვყვები, იქნებ გადავიაროს... (შედის სახლში)

ბაზიკო — რა წარმაცო და უქნარია... კობრიალი კი უყვარს... დაგენაძლები, თუ შავს მუცელი სტიკვა.

ბიზიკო — ნეტავ რას აკეთებ?

ბაზიკო — შევღობოთ და შემდეგ ვნახოთ, ეს წწელი მომარწოდ. (ღობავს) მორჩა... უკვე შევღობილია...

ბიზიკო — წავიდეთ, ჩუმად შევიხედოთ... (გაოიბეცევიან და ფანჯრიდან უქვრიბენ)



ბაზიკო — ხედავ?!
 ბიზიკო — ჰო... მაგიდა მაგიდაზე დაუდგამს, სკა-
 მი — სკაზე და თაროსაკენ მიძვრება.
 ბაზიკო — შეხედე! სტაფილოს მურაბა ჩამოიღო
 და არხიანად შეეკეცვა.
 (ოთახიდან მოისმის ხმაური და ყვირილი)
 ბიზიკო — გადმოვარდა...
 ბაზიკო — მივეშველო... (შედიან ოთახში და ვა-
 მოკავათ გულშეწუხებული ცერცება)
 ბიზიკო — წყალი, ჩქარა!
 ბაზიკო — ახლავე... (სურთი მოაქვს წყალი და
 ასხურებს)
 ბიზიკო — ბოცორა!.. ბოცორა!..
 ბაზიკო — გულის წვეთები დავალევიანო...
 (ბიჭვის მოაქვს მოვარო გოგრა. ასხამს სტაფილოს
 ფორმის ჭიქაში და ასძევს)
 ცერცება — (თვალს გაახელს) რა კარგია... ეგ რა
 არის?
 ბაზიკო — პიტნისა და ვარდის წვეთები გახლავს.
 ბიზიკო — (უცბათ დაუკვირებს) რამდენჯერ გით-
 ხრა დედაკომ, რომ...
 ცერცება — (ყვირილზე კვლავ გული შეუწუხდა-
 ბა) გული... მიშველეთო!..
 ბაზიკო — ვაიმე!.. ისევ ცუდად ვახდა... მეზობელ
 ექიმს ადუცაბოთო...
 ბიზიკო — ახლავე... (გარბის ეზოდან ქიშკრათ)
 ბაზიკო — ბოცორა... ბოცორა... ადექი გენაცვა-
 ლე... ვაიმე... ხმას არ იღებს!... რომ მოკვდეს?! დღე-
 კოს რაღა ვუთხრათ. ბოცორა... შენი ქირიმე, ოღონდ
 ადექი და თუ გინდა ის მურაბა მთლად შეკამე...
 ცერცება — (თავს წამოიწევს) მართლა?!
 ბაზიკო — ერთი ამას დამიხედეთო!.. თურმე გვატ-
 ულებს ეს მართლა ცერცება, ესა.
 ცერცება — არა... არა... არ გატყუებთ... ცუდად ვარ...
 ვაი... ვაი... (კნესისი)
 ბიზიკო — ექიმი მოდის...
 ცერცება — რატომ?
 ბაზიკო — დაწეკი, უნდა გაგსინჯოს...
 ცერცება — მე უნდა გამსინჯოს?!
 ბიზიკო — დაბ, შე!

ცერცება — მერე?
 ბაზიკო — მერე წამალს გამოგვიწერს...
 ცერცება — მერე, ის წამალი ტკბილია...
 ბაზიკო — დაწეკი... უკვე მოდის...
 (ცერცება დაწევა და კნესისი. შეგოლის ჯობით
 დაითუნს)
 ცერცება — აცა, ბაცა... აქა მშვიდობა...
 ბაზიკო — აქეთ, აქეთ მოზრძანდით ბატონო
 ექიმო...
 ცერცება — საით არის ავადმყოფი?
 ბიზიკო — აქ გახლავთ ექიმო...
 ცერცება — რა დავემართა პატარავ?
 ბაზიკო — უცტრად მუცელი ატკივდა...
 ბიზიკო — შემდეგ მაღლიდან გადმოვარდა...
 ცერცება — რძეს სვამს?
 ცერცება — არა, დედა აღარ გავწოვებს ძუძულს.
 ასე ვუთხრა: შეიღებო სამ კვირას გავწოვოთ ძუძუ
 თუ სა...მ ღღესო. ჩვენ ვუთხარით სა...მ ღღეს-
 თქო. სამი ღღე ჩვენ სამ კვირავ მეტი გვეგონა.
 ცერცება — აბა, მაჯა მაჩვენე... (ცერცება თათს
 გაუწვდის, დათუნი მოუქვრს)
 ცერცება — ვაი... ვაი...
 ცერცება — რა იყო?
 ცერცება — მეტიცა, ექიმო, მეტიცა...
 ცერცება — აბა, სიცხე გავუსინჯოთ...
 (ბიჭვის მოაქვს ლერწამის თერმომეტრი, რომელ-
 საც დათუნი უკეთებს ილღის ქვეშ ცერცებას)
 აცა, ბაცა... გული ხომ არ ვერევა?
 ცერცება — არა...
 ცერცება — აბა, ერთი გადმოზრუნდი... (სინჯავს)
 ცერცება — ისუნჯე... კიდევ... კიდევ... (ზურგს დაწევა)
 ცერცება — ვაიმე... მიშველეთო!.. გავისრისე...
 ექიმო...
 ცერცება — აა? ჰოო! მინც რა გტკივა?
 ცერცება — აი, რომ დამაწეკით, ყველაფერი ამ-
 ტკივდა.
 ცერცება — არა... მე გეკითხები, მანამდე რითი
 განხი ავად!..
 ბიზიკო — აკი მოგახსენეთ ექიმო... მუცელი ას-
 ტკივდა...
 ცერცება — რა სკამა?





ბაზიკო — სტაფილოს მურაბა...
დათუნი — მურაბა? ეგ როგორ შეიძლება... აღ-
 ბათ კიანჭელები თუ იყო შიგ. მოიო! შენი მდგომარეობა პატარა მეგობარო მტკად სანდვითა. აბა, ერთი მაჩვენეთ ის მურაბა!

ბიპიკო — ახლავე ექიმო (შედის სახლში, მოის-
 მის ხმაური, ბაქიო გაიქცევა და გამოჰყავს ბიჭიკო, რომელსაც თავზე თათი აქვს დადებული).
დათუნი — რა ამბავია?..

ბაზიკო — არაფერი ექიმო... მურაბის ჩამოღების
 დროს ესეც გადმოვარდა... (მურაბას აწვდის)
დათუნი — თავი გეტკინა?
ბიპიკო — ჰო, ექიმო...

დათუნი — კომბოსტოს ცივი ფურცელი დაადეთ თავზე... (ბიჭიკო თვითონ იღებს თავზე კომბოსტოს ფურცელს. დათუნი მურაბას ჭამს) მო! მურაბას თი-
 მის არა უშავს, მაგრამ... (ჭამს) თქვენთვის ამის ჭა-
 მა მიწვდ არ შეიძლება. (განაგრძობს ჭამას) უნდა იცოდეთ, რომ ზედმეტი უფლაფერი მანჭიანია. აი, მაგალითად, ჩემი პატარა ბებლები მეტად ქვიანები არიან. ისინი არაზოდეს არ სკამზე ზედმეტ თაფლს, იციან, რომ თავი ატავებდნენ და ავად გახდებოან. (ცერცეტა სინანულით უქვების, რომ დათუნი მურა-
 ბას ჭამს)

ცირცება — ექიმო! მე უკვე აღარ ვარ ავად, გა-
 დამიარა... ეს მურაბა... მერე დღეა მე გამიჯავრდება...
დათუნი — მართალია, გასაჯავრებელია... (ჭამს)
 რა თქმა უნდა შენ ეს ჩუმად მოიარე, ხომ?

ცირცება — ჩუმად მიწოდდა, მაგრამ სკამიდან
 გადმოვვარდი...

დათუნი — მოი! აი, გადმოვარდნილხარ კიდევ...
 როგორ შეიძლება. (მურაბას დასცლის და ჭილას დას-
 დებს)

ბაზიკო — (ბიჭიკოს უჩურჩულებს) სულ გამოს-
 ცალა...

ბიპიკო — დედა რა დღეს დავაყენებს!
დათუნი — აბა, ენა გამოყავი! (ცერცეტა ენას
 გამოჰყოფს) თქვი, ააა...

ცირცება — ააააა... ააააა...
დათუნი — (ენაში თათს წააგლებს) კიდევ გა-
 მისწი...

ცირცება — ვაიმე... მიშვლეთ... მეტკინა...
დათუნი — ნუ ყვარია... შენ კიდევ ექიმია რა-
 ლაც... თუ არ იტყვი, ცუდად გახდები და შეიძლება
 მოკვდე კიდევ...

ცირცება — მოკვდები ექიმო? მართლა მოკვ-
 დები?
დათუნი — თუ იტყვი რა სქამე კიდევ, მე შემიძ-
 ლია მოგარჩინო.

ცირცება — მართლა? (ძმებს გადახედავს) ექა-
 მო! მე მიწაა უფრო ვითხარა... მხოლოდ... (ანიშნებს
 არავის უთხრაო).

დათუნი — გისმენ. (ყურს მიუშვებს, ცერცეტა
 უჩურჩულებს)

ბაზიკო — ეტყობა კიდევ რაღაც მოუპარავს...

ბიპიკო — და ჩუმად შეუხასნლავს.
დათუნი — არა... მე არავის ვეტყვი, მაგრამ სტა-
 ფილოს მურაბას, ტუბილი ქაღებისა და ნაძვებრების
 ზედმეტ ჭამას შეუფლია კიბილისა ტკივილი გამოი-
 წვიოს. აბა, ერთი მაჩვენეთ თუ როგორია...

ცირცება — შევკამე ექიმო...

დათუნი — სულ შევკამე?
ცირცება — არა... ცოტა დამიარა... ზუზრის, თავ-
 ზეა.

დათუნი — აბა, ერთი მოიტანეთ. **ბიპიკო** — (ჩუმად ბიჭიკოს ვაიმე... დედას ვე-
 ლარ გადავურჩებოთ...
ბიპიკო — (უჩურჩულებს ბაქიკოს) ვითომ ვერ
 ვნახეთ... კარგი?!

ბაზიკო — ჰო... (შედიან და ბრუნდებიან უკანვე).
ბიპიკო — აღარ ვახლავთ ექიმო...
ცირცება — სტყუიან ექიმო, როგორ არ არის...
 თუ გინდათ მე მოვიტან.

დათუნი — აბა, მალე, მალე...
ცირცება — ახლავე ექიმო...
 (დედას, მძიის, თერმომეტრი უვარდება და ტყუება).
ბაზიკო — თერმომეტრი გატეხა... ხად მიხვალ...
 იქ არაფერია.

ცირცება — როგორ არ არის... (გამოაქვს) აი, ექი-
 მო, ნახეთ... (წვება).
დათუნი — მოი! (ჭამს) ამის ჭამა შენთვის მართ-
 ლეც მავნებელია... მეტი აღარ გაქვს?
ცირცება — მეტი არ ვახლავთ ექიმო...
ბაზიკო — თერმომეტრი რომ გატეხა, როგორ
 ვავიგობ, ავადმყოფს სიცხე აქვს თუ არა!..
დათუნი — აცვ, ბავა... ეგ ჩემთვის სულ ადვილი
 გასაგებია. თათი მაჩვენე.

ცირცება — აღარ მომიჭიროთ ექიმო, რა...
დათუნი — ნუ გეშინიან, მაჩვენე...

(იღებს მზესუმზირას „საათს“, ზედ ისრები ჯობე-
 ბისა... ცერცეტას შავას უსინჯავს... სთვლის) ერთი...
 ორი... სამი... ოთხი... ამა ჩემთვის უკვე ნათელია...
ბაზიკო და **ბიპიკო**, — სიცხე რაშდენი აქვს
 ექიმო?

დათუნი — ორმოცდა ცხრაამეტი და სამოცი
 ხაზი... ჩემო პატარა მეგობარო უჩემოდ ასეთი
 რამ აღარ ჭამო... თორემ გაწყენს... აბა, ერთი თქვენს
 ვაზრდას თათები დამაბანინეთ...

ბაზიკო და **ბიპიკო** — ახლავე ექიმო (ტაშტის
 ნაცვლად მოაქვთ გულმოდგებელი დადი გოგრა და
 სურა, ბაქიო წყალს უსხამს, ბიჭიკო ხელს გასამ-
 შობლებლად კომბოსტოს ფურცელს აწვდის)

დათუნი — რეცეპტიც გამოვწერო: (ჯდება და
 წერს) სამი წვეთი პიტნისა, ზუთი—ობრაბულის ძი-
 რისა, ექვსი—მზესუმზირასი, ათი—წიწმანისა და ზუ-
 თიმტი პილიპილისა, ყუვილდელი, დამეში ათჯერ...
 ასე... აფთაქი ხომ იცით... აი მოსახვეწე, მაღალი
 მუბა რომ დგას და ფულუროში ჭობო ზის. დღე არ
 წახვიდეთ, რეცეპტს ვერ წაიკითხავს... აბა... კარგად
 იყავით...

ბაზიკო — გმადლობთ ექიმო...

ბიპიკო — გასამრეტლოს დღეიკოს ვეტყვით და...
დათუნი — არა უშავს... არა უშავს...
 (მძიის სიმღერით)

მე ვარ დათვი, დინჯე დათვი,
 მიყვარს წაბლი, მიყვარს თაფლი,
 ექიმი ვარ გამოცდილი,
 შეილებიც მყავს გამოზრდილი.
 აცა, ბაცა, ჰეი!
 ლამაზ ტყეში, შიანა დღეში,
 გორაკებზე მთა და ველში,
 როდესაც ვარ თაფლით შთარალი,
 მიყვარს ზუქნა კორციალი.
 აცა, ბაცა, ჰეი!



დება სირბილით. წვება, შემოდის ნაცარა სახედავად დატვირთული
ნაცარა — (შვილებს დახედავს) **სამხრეთის**
 კვიციანი არიან... (კოცის სამივეს). **სამხრეთის**

ცერცება — უა... დელიკო შენა ხარ? რამდენი მე-
 ძინა... (აზმორებს)
ბაზიკო — (იღვიძებს) დედა... რამდენი რამ მო-
 გიტანია...
ბიზიკო — (იღვიძებს) კომპოსტო... სტაფილო...
ცერცება — მწვანელი...
ნაცარა — (უნდა წვალი დალიოს) სურა დაგიც-
 ლიათ... წყაროდან ახლავე წყალს ამოვიტან და ერ-
 თად ვისაუზნოთ...
ბაზიკი — კარგი დელიკო.
ნაცარა — კუთი იყავით, მაღე მოვალ... (მიდის)
ცერცება — წამოდით, გავიხტინოთ. იქ, მინ-
 დროში რბილი ბალახი და ლამაზი ყვავილებია. დე-
 დას მოსვლამდე უკან დაბრუნდეთ.
ბაზიკო — ისევ დაიწყე? იქ რა გინდა...
ცერცება — იქ! თქვენ რა იცით... იქ არავითარი
 საშიშროება არ მოგველის... ახლა, თქვენ რომ გეძი-
 ნათ, მე გავიპარე, ბალახები და ყვავილები ვიკო-
 ტრიალე... დედა რომ არ დამეხანა, დიდახანს დავრჩე-
 ბოდი. წავიდეთ...
ბიზიკო — ტუთულად ხომ არ შეგარქვა დელი-
 კომ ეგ სახელი, ნამდვილი ცერცება ხარ, ნამდვილი...
ცერცება — ახლა, დელიკო რომ მოვა, უველა-
 ფერს გაიგებ... თუ არ იტყვით აღარ წავალ, თუ იტ-
 ყვით—წავალ...
ბიზიკო — კარგი, არ ვიტყვით...
ცერცება — ჩუმად... დედა მოდის.
ნაცარა — (შემოდის სურით ხელში) აბა, გამო-
 იტენე მაგვლა, სკამები დავსხდეთ და ვისაუზნოთ.
ირმა — (აღუღებულ) ნაცარა... ჩქარა, ჩაიმა-
 ლეთ... ქროლია აქეთ მოფრინავს... (გაიქცევა)
ნაცარა — დაიშალეთ... (ბაჭები იბალებიან, ნა-
 ცარა ზევიდან გადაეფარება)
ცერცება — (თავს ამოჰაყუს) რა იყო დელიკო?
ნაცარა — ჩაიმაღე... ჩუმად... არწიფე გადაიქ-
 როლა... გავიო ჩემი ბინა და აღარ მსახვენებს, ყოველ-
 დღე თავს დაგვტრიალებს. გაფრინდა...
ცერცება — არწიფი ვინ არის დელიკო?
ნაცარა — არწიფი ფრინველთა მეფე... (ბაჭები
 გამოძვრებიან) ისეთი ღონიერია, რომ ცხვარსაც კი
 იტაცებს... აბა, თქვენისთანა ბატარა ბაჭების კლან-
 ჰებში დაქვერა იმისათვის რაა! გამოიტანეთ რაც გი-
 თხარით.
ბაზიკი — ახლავე დელიკო... (შემოაქვით სტაფი-
 ლოს ფეხებიანი შავილა, სკამები, აწყობენ სუფრას და
 შემოიხსენებენ)
ნაცარა — თათები დაიბანეთ... (ბაჭიკო და ბიჭი-
 კო თათებს იბანენ)
ცერცება — მე თათები სუფთა მაქვს, დაბანა არ
 მინდა...
ნაცარა — როგორ თუ არ გინდა... აბა მარცხენ...
 (ცერცება თათებს აჩვენებს) ფუ... რა ქუჭურანია...
ცერცება — დედა არ მომიკვდეს, წელან დავიბა-
 ნე... (ბანს)
ნაცარა — დასხედით და ქამეთ... (ბაჭები სხდე-
 ბიან და ქამენ) ხომ არაფერი მომხდარა... ხომ არავინ
 უფელა?

4337

ცერცება — (ატირდება) ააა... აააა...
ბაზიკო — რა გატრებს?
ცერცება — დელიკო გამლახავს... ექიმმა უველა-
 ფერი შეგვიქაშა...
ბიზიკო — ახლა ამბობ მაგას? ეგრე მოგზიბება...
 მეორედ აღარ იზამ...
ცერცება — მე რა ვიციდო... როდის ვითხარით
 ექიმი მოიყვანეთ შეთქი. ჩემი რა ბრალაა...
ბაზიკო — ნეტავ რაღას წევხარ... მართლა ავად
 ხარ თუ? ჩქარა, ადგილს და დელიკოს რა პასუხს ვას-
 ცემ, იმასაც ვხახავთ.
ბიზიკო — მართლა... დელიკომ რად დაიკვიანა...
 (იკვირება) არა ჩანს... მოდით, ვისაუზნოთ?
ბაზიკო — არა! დედას დავუცადოთ...
ბიზიკო — მაშ, ცოტა დავიძინოთ...
ცერცება — ბაჭიკო და ბიჭიკო... გენაცვალეთ...
 დელიკოს არაფერი უთხრათ, რა!
ბიზიკო — მურაბა და ნამცხვრები ვინ შექაშაო
 რომ გვკითხავს, რა ვუპასუხოთ?
ცერცება — ნამცხვრები თავუნებს მოუპარავთ
 და მურაბა ქიანველებს წაუღიოთ, — ასე ვუთხრათ.
ბიზიკო — მერე მაგ ტუთილს დაგვიჯერებს?!
ცერცება — დაგვიჯერებს, დაგვიჯერებს... მო-
 დით, მე გავიხედავ, იქნებ მოდი...
ბაზიკო — ეხლდან ფეხი არ გადადგა... ხომ ვას-
 სოვს, დელიკომ რა დაგვიხარა.
ცერცება — კარგი... მაშ ცოტა დავიძინოთ...
ბაზიკო — დავიძინოთ...
ცერცება — აბა, ვინ უფრო ჩქარა დაიძინებს...
 იცით რა? მე მიყვარს როდესაც ზღაპრის მოყოლას
 დროს ტკბილად ჩამეძინება. ბაჭიკო! მიახებ რა ზღა-
 პარა...
ბაზიკო — კარგი... ახლოს მოიწით... ახე... იყო
 და არა იყო რა... იყო ერთი კოდალა, რომელიც ფრი-
 ნველებს ბულებებს უშენებდა... ერთ დღეს... (მეჭირ-
 დება) ვაო... ცერცებას უჯე ჩაემძინა... ჩვენც დავიძი-
 ნით. (ძინებენ... ისმის ფრინველთა სტვენა... მცირე
 პაუზის შემდეგ ცერცება თავს წამოჰაყუს)
ცერცება — სძინავთ... (დუბაკურდით მიიპარება)
 მოდი გავიხედავ, მე ხომ არახდროს არ მინახავს, ეხოს
 გადამა რა არის... (მიდის... ცოტახანის შემდეგ ბრუნ-



ბაზიკო და **ბიზიკო** — კარგი... კარგი...
ცერცება — ჯერ მე ავიხვევ თვალებს და ორთა-
 ვებს თუ მოვხანავთ... კარგი?
ბაზიკო და **ბიზიკო** — კარგი, კარგი...
ცერცება — აი, მე თვალებს ავიხვევ სიმინდის
 ფოთლით... (სიმინდზე ფოთოლს მოწყვეტს და იხვევს)
 აი, ესეც ავიხვევ... ამა, დაიმაღლეთ...
ბიზიკო — გავიქცეთ, დავიმალოთ... (გარბიან,
 ცოტახნის შემდეგ მოისმის ბაჭიების ხმა: კუკუ, კუ-
 კუ... ცერცება თვალებიდან ფოთოლს იხსნის და
 ეძებს)
ცერცება — სადა ხართ? აქ არ არიან (ეძებს სახ-
 ლის გარშემო) აი, უკვე დაგიპირე... ბიჭიკო სადღა...
 იმასაც მოვხანავ. აი, სად ჩამალულა გოგონის ფოთ-
 ლებში...
ბაზიკო — არ მინდა... შენ დავინახებ... თვალები
 კარგად არ გქონდა ახვეული.
ცერცება — დედა მომიკვდეს თუ დამენახოთ. ახ-
 ლა თქვენ აიხვიეთ თვალები.
ბიზიკო — კარგი. (ბაჭიკო და ბიჭიკო თვალებს
 იხვევენ, ცერცება ეზოდან მიიპარება).
ბაზიკო — დაიძახე...
ბიზიკო — რატომ ხმას არ იღებ...
ბაზიკო — მალე, თვალები შეტყინა...
ბიზიკო — (თვალებიდან იხსნის ფოთოლს) მოვ-
 ძებნოთ...
ბაზიკო — (იხსნის ფოთოლს) მოვძებნოთ. (ეძებენ)
ბიზიკო — სადა ხარ ბოცორა, ერთხელ მაინც
 დაიძახე რა?
ბაზიკო — არსად არ არის...
ბიზიკო — გაპარულა.
ბაზიკო — დედას რაღა ვუთხრათ.
ბაზიკო — (შემოდის ნაცრა, კალათი სავსე აქვს კიტრებით)

ნაცრა — ჩამომართეთ შეილებო...
ბიზიკო — თვალბუკობანას ვთამაშობდი...
 ცორა დაიმალა და ვერსად ვნახეთ.
ნაცრა — უი, დამიდგეს თვალბუკი... ვაი თუ სად-
 შე გაიპარა. რად გაუშვიოთ... ორმა ერთ პატარა ძმას
 ვეღარ მოუარეთ? თუ არ მოვძებნე, აღარც დაბრუნ-
 დება.
ბაზიკო — ჩვენი ბრალი არ არის დედიკო...
ბიზიკო — მოვკატუა...
ნაცრა — (სცემს) ესეც შენ, ესეც შენ...
ბაზიკო და **ბიზიკო** — ვაი.. ვაი.. (ტირიან)
ნაცრა — სახლში იუავით, ფეხი არსად გასდგათ...
 ცერცება უნდა მოვძებნო... საგზალი გამიწვადეთ..
ბიზიკო — ახლავ დედა (შერბის სახლში)
ნაცრა — შენ რაღას აკეთებდი?
ბაზიკო — მეც ვთამაშობდი დედა... ჩემი ბრალი
 არ არის.

(გამოდის ბიჭიკო, თან მოაქვს კომბოსტოს ფურც-
 ლებში შეხვეული საგზალი, რომელიც წამოცმულია
 ჯოხზე. აწვდის ნაცრას)
ბიზიკო — ამა, დედა...
ნაცრა — (საგზალს მხარზე გაიდებს) ცერცებას
 საქმენლად მივდივარ... ქუჩით იუავით.. შეიძლება
 ვეღარც კი დავბრუნდე. (ბაჭიები ატირდებიან) ნუ
 სტირით. თქვენ რომ დედათქვენი გებრალბოდეო,
 ბოცორას არსად გაუშვებდით. ნახვამდის შეილებო...
 ამა თქვენ იცით, როგორ ქუჩით იქნებით... (პოცონის
 ორთავეს და მიდის)
ბიზიკო და **ბაზიკო** — (ჭიშკარს ტირილით მი-
 დგებიან) დედა... დედა...
 ფ ა რ დ ა
 (გავრქმელება იქნება)





„რაც უფრო ძნელი ასასრულებელია წადილი, სურვილი — ადამიანი უფრო მიიღწევის მის განსახორციელებლად... ასე იყო ჩემი ამბავიც“. — წერდა თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

პირველი ქართული საბავშვო თურნალი „ნობათი“ დღენაკლები გამოდგა და ორი წლის არსებობის შემდეგ, 1885 წელს დაიხურა. ხუთმა წელმა განვლო, და ახალი თურნალი არსად ჩანდა. ცარიზმის სუსხიანი რეაქცია სდევნიდა სკოლებიდან მშობლიურ ენას, ცენზურა სასტიკი არტახებით ბოჭავდა ყოველივე ახალ აზრს და ცოცხალ სიტყვას. ამ პირობებში ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის წადილი და სურვილი — დაეარსებინა საბავშვო თურნალი, ძნელი შესასრულებელი იყო. მაგრამ განათლებული და განვითარებული ანასტასია — პოეტ და ლიტერატორ მიხეილ ბირთვილის-ძე თუმანიშვილის ასული, მწერალთა წრეში აღზრდილი და გათვითცნობიერებული, — ყოველივე დაბრკოლებას გადალახავს და 1890 წლის დამდეგს, დახურული „ნობათის“ ნაცვლად, ახალ ნობათს უძღვნის ნორჩ თაობას თურნალ „ჯეჯილის“ სახით.

თურნალის პირველსავე ნომერს ამშვენებდნენ ოლია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, აკაკი წერეთლის ლექსი „მერცხლისა და ქიეჭავის ომი“, ვეა-ფშაველას ლექსი და მოთხრობა „ჩვენი მამალი“, შოი მღვმელის ლექსი „ჯეჯილი“, ვახტანგ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა ცნობილი მწერლების ლექსები და მოთხრობები. თურნალს ევიგრაფად წამოღვარებული ჰქონდა სიტყვები მუშა პოეტის იოსებ დავითაშვილის ლექსიდან.

„იზარდე, მწვანე ჯეჯილი, დაპურდი, გახდი ყანაო...“

ენერგიულმა რედაქტორმა შეძლო „ჯეჯილის“ ირავლივ შემოკრება ჩვენი ქვეყნის თვალსაზიარებულ პოეტები და მწერლები, და თურნალმაც დიდი სულიერი საზრდო მისცა მაშინდელ ნორჩ თაობას. მარტო „ჯეჯილის“ გამოცემით და მწერლობით არ ამოიწურებოდა ანასტასია თუმანიშვილის მოღვაწეობა. არ იყო იმ დროს ისეთი კულტურული წამოწყება, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო ამ თავდადებულ ადამიანს. ანასტასია თუმანიშვილი მთელი წლების განმავლობაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი იყო, მისი თაოსნობით სოფელ ხელთუბანში დაარსდა სკოლა. 33 წლის განმავლობაში ანასტასია „მასწავლებელი და აღმზრდელი ქალთა საერთაერთო დახმარების საზოგადოების“ უცვლელი თავმჯდომარეა, მისი ინიციატივით 1908 წელს დაარსებულ საზოგადოება „განათლების“ სულისჩამდგმელი და თავმჯდომარეა.

დიდი ღვაწლი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. იგი კალმით თუ საქმით სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1932 წლის 7 თებერვალს) თავდადებულად ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას, მის ნორჩ თაობას. მისმა „ჯეჯილი“ და ლამაზად დაწერილმა მოთხრობებმა ხელი შეუწყო ჩვენი მშობლების აღზრდას და გათვითცნობიერებას. ჩვენი ბედნიერი ნორჩი თაობის ვალია გაიხსენოს საბავშვო თურნალ „ჯეჯილის“ დამაარსებლის და ამ საქმის პიონერის ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ნათელი სახე.

ა. გურთიყაშვილი



ანასუელი

ენო ნაკაშიძე

ლეგენა და სინამდევ*
1905 წლის მოძრაობა

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

ახალთაობის მოძრაობა დაიწყო. ანასუელში იკრიბებოდა ბათუმის ქარხნიდან დათხოვნილი მუშები და სოფლის გლეხები. იმათ ყურადღებას არ იპყრობდა არც ბზუჯის ჩქრიალი, არც ნიავის ჩურჩული და ქოტის ძახილი. იმათ აინტერესებდათ გაუქმდებულნი მუშათა და გლეხთა გაჭირვებული ცხოვრება. უნდოდათ აღმოედგნათ ქვეყნად უსამართლობა, ჩაგვრა და ძალმომრეობა.

„მიწა მიწის მუშებს, სიმდიდრე იმათ, ვინც კმშნის სიმდიდრეს!“ — გადმოსროლეს იმათ ხალხში ლოზუნგად. ხალხმა ერთხმად მიიღო ეს ლოზუნგები. და ეს ლოზუნგები გახდა მათ პოეზია, მათ მისწრაფებად, შათი სიმღერების საგანად. ანასუელის კრებები გადაიზრდებოდნენ ხოლმე შემდეგ დიდ მიტინგებად ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში.

ისევ ისე ტყით აქორჩილ ანასუელს, თეთრი ბზუჯის მალდ ნაპირს, თითქოს შხი ახლა უფრო თანაგრძობით, უფრო ცხოველად უნათებდა და თითქოს თითო მხარული სოცლით აფრქვევდა თავის თინათინებს ფერთლებიდან შეეახე ხავსის ნოხით დავეთლდე დაიშინა.

მიწავერელება შედრკენ, შეშინდნენ... მაგრამ რა მოხდა ამ სუესხან დღეს, რად აკრიალდა ანასუელისაკენ მიმავალი ქალებით, ბავშვებით და ავადმყოფებით დატვირთული ურმები?

რატომ აივსო ანასუელი შეშუებელი, შემრწუნებული ხალხით, რატომ ამენებდნენ სახელდახელოდ ჩალისა და ფიცრების ვრძელ კარავებს, რატომ ტიროდნენ ბავშვები, რატომ დაღონებულიყო ყველანი?

რა მოხდა, რა? ჯარი მოვიდა, დამსჯელი მეფის მთავრობის აუარებელი ჯარი. წვედნენ სოფლებს, ელეტდნენ ხალხს — დიდსა და პატარას. განკითხვა არა ჰქონდათ არც ქალის, არც კაცის და აქ, მთელი მოსახლეობა სოფლებიდან და ქალაქებიდან გაიკრთა, გაიზიზნა შორს — სხვადასხვა ადგილას.

მთელ ანასუელის ტყეში გაიქიმა საერთო ვრძელი და ცალკეული კარვები. ტყე გაივსო ხალხით, ხმაურით, ბავშვების ტიროლით.

— დაჩუმდით, მოქალაქენო, — ისმოდა ხმები, — ჩუმად იყავით, რომ თქვენმა ხმაურმა არ მიიზიდოს ჯარების ყურადღება და არ წამოვიდნენ აქეთ. ჩვენ მამაკაცი წავალთ ყარაულად, დავდგებით ბზუჯის ნაპირას და თუ აქეთ წამოვიდა ჯარი, ან დავხოცავთ ან დავიხოცებით.

მამაკებიდან და მოზარდი ბიჭები, ქალებიც, ვისაც რამ იარაღი გაჩნდათ, წავიდნენ.

დატვირთული ურმები და ქვეითი ხალხიც მოდიოდა და ემატებოდა შემოიზიზნულთ. ერთი ურმიდან გადმოიყვანეს შეცივებული ავადმყოფი კაცი, რომელიც მოათავსა ახალგაზრდა ქალმა საერთო კარავში ჩალაზე.

— ალათი შენ, აქ ხარ? — მოესმა ახალგაზრდა ქალს.

* გაგრძელება. — დასაწყისი იხ. პიონერი №8.



ალათიმ მაშინვე მოიხედა.

— აჰ, ილიკო, დედა მოიყვანე!

— მოიყვანე, ალათი. ხელით აყვანილი წამოიყვანე, მეშინოია — ძალიან ავად არის და ურომბა არ რაანჯღრიოსსმეტეთი. შენი იმედი ძაქეს, მოხედ, მე საყარაულოდ უნდა წავიდე.

— რასაკვირველია მიგხედავთ ყველანი, — გაისმა, აქეთაქედან ხმები.

— აი, აქვე არის ალათი, თუ ნახავ?

ალათი მაშინვე გაჰყავა და ორივენი მივიდნენ ავადმყოფთან, რომელიც უფოთავდა და კენესოდა ხმაძალდა.

ილიკო ჩაჯდა იედასთან, აკოცა უძებლზე და უთხრა:

— დაწყნარდი ნენა, ჩუმად იყავი, ხმაურობა არ შეიძლება, ხელმწიფის ჯარი მოვიდა. ხომ ხედავ ყველა ჩუმად არის?... მე ახლავი უნდა წავიდე ნენა...

— მე მტოვებ, ბიჭო?

— ჰო, მარიამ, ილიკო საყარაულოდ უნდა წავიდე, ჩქარა დაბრუნდება. ჩვენ მოგივლით, — უთხრეს აქეთიქიდან ქალებმა. ილიკომ ყაბალახი გაისწორა თავზე.

უცებ ჰაერი საშინელომ კივილომ გაჰკვეთა, ყველამ მიიხედა და გაიქცნენ იქით, საიდანაც კივილი ისმოდა. ახალგაზრდა ქალი მოწაზე ჩამჯდარი იკაწრავდა ლოყებს.

ორი პატარა ბავშვი ებლაუქებოდა მას და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ღრიალებდნენ. ქალები მისცივიდნენ.

— რა იყო ქალი? ყვირილი არ შეიძლება...

— უიმი, მომკალით, ჩამქოლეთ... რაღაც ექნა... რა მეშველება... — ყვიროდა ქალი.

— რა იყო? რა დაგემართა, არ იტყვი?

— რიმი რაფერ ვთქვა, რაფერ ვთქვა... რა დამემართა...

ალათი მივიდა, მოჰკიდა ხელი თავზე, თავსაფარი გადმოუწია და ნელა უთხრა:

— სათუთა, დაწყნარდი, ხომ ხედავ, რა ამბავია. თქვი ნელა — რა დაგემართა... ყვირილი არ შეიძლება.

— ოოჰ, ალათი, ბაღანაი დამეკარგა, ბაღანაი.

— ბაღანაი?!..

— ჰო, ჰო არ ვიცი სად... ხილზე კი გამოვიყვანე მგონია... მარტო მოერბოდი, ჩემო კაცი მინ არ იყო... მეშინოდა... ექაღლის გზას რომ შემოვუდებო, კი მყავდა მგონია, მარა რა ვიცი, ეგება წყალში ჩამივარდა. მომკალით გინმე. გინ ხართ ქრისტიანი... რაღაც ექნა ახლა!

— ჯერ ერთი ვინ მოგვლავს და მეორეც წასვლა უნდა, მოხსნება.

— ვინ გაბედავს, — გაისმა ხმები.

— ჰოი, გამიშვით, ისევე მე წავიდე...
ცეცხლე, ეგება ვინმემ აიყვანა...
ქალი წამოიწია, მაგრამ ისევე ჩაივცა, გული შეუწყუნდა, სუნთქვა შეეკრა.

— სათუთას მოუბრუნებ, — სთქვა ალათიმ, — მე გაიქცევი, იქნება ეპოფენო სადმე, იქნება ვინმემ აიყვანა...

დღე და ღამე იყრებოდა. საღდაც შორის ტყის განაპირას გაისმა ტურების კივილი და კარგეებში შიშის ზარი დასცა ბავშვებს.

ალათიმ მოიხედა თავშალი და გამოვარდა კარვიდან.

— დაიცა ალათი, მეც მოვიდივარ, შენი მართო წასვლა როგორ შეიძლება! — მოესმა ალათის, რომელიც გამალებით მირბოდა ექაღლის ბილიკით თავდაღმართზე.

— ალათიმ მოიხედა.

— ილიკო, — წარმოსთქვა მან და გაუწოდა ხელი.

— ძიძვის დაგეწიე, ალათი, — უთხრა მან ყაბალახის სწორებით და მოჰკიდა ხელზე ხელი...

ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. უფრო ქალები და ბავშვები.

— ანასეულზე მივიდივართ და არ ვიცი თ შეიძლება თუ არა, — ეციოხებოდნენ ისინი ალათის და ილიკოს.

— კი, კი როგორ არა, თავლებია გაკეთებული, — ეუბნებოდა მათ ილიკო.

უცებ გზაზე გამოჩნდა შეშლილი საყვალა, ხელში დიდი კეტი ეჭირა, ატრიალებდა და თანაც მღეროდა:

ალი ფაშამ გვილაღატა
ჩაგვიყვანა კვირიკეთში,
თვითონ ფულები აიღო,
ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში.

— საყვალა, საყვალა, — მივარდა მას ილიკო, — საყვალა, სიმღერა არ ეარგა, ხომ იცი ჯარი შემოგვესია და თუ შეიტყო ანასეულზე ვართ. ამოვლენ.

— ვერ ამოვლენ, — ამ ჯოხს ხომ ხედავ ამით დაველეთ ყველას, ერთი მოქნივით ათას კაცს დავაწვევ...

— საყვალა, აქ ერთ ქალს ბაღანაი დაეკარგა, ხომ არ გინახავს გზაში. — ჰკითხა ილიკომ.

— ბაღანაისათვის მკალია ახლა მე. ჯარის ამისაწყვეტად მივალ... მაი ციციკი ვინაა, აგერ უკან რომ იძალდება. მე ვანგენებ შგას სეირს! — და გაიწია ალათისაკენ.

— უბედური სუთნოდ შეშლილა, — სთქვა ალათიმ და გზა განაგრძეს.

სავერდო მთავარე დიდობილად აცურავდა ცაზე და საცილობა მზუჯის კამკამა მხეტიბი. აფაცლავია მთავარესთან ასპიროზიო და მთლად მოიქიდა ცა ვარსკვლავებით. ირგ-



ლო მეტების ძირები და ტყეები იყო მხოლოდ სილუეტებით ჩამოქეპილი.

ბუჯის პირას, ხიდის იქითაქით მხარეს ჩასაფრებულყვინე შეიარაღებული კაცები. ირგვლივ სიწყნარე სოიოვდა, საცალოთ-ხო ხიდზე თითო-თითოდ გამოდიოდნენ ქალებიც და კაცებიც. ხიდის ახლო ფონში კრიალით გამოვიდნენ ბაძეებით, ქალებითა და ბარცხ-ბარხანით დატვირთული ურმე-ბიც და ცხენოსანებიც. გამოვიდა შარავლ-აქარაშებული კაცი — ივლიანე, მას ზურგ-ზე დიდი, ყურძნის ჩასაყრელი გოდორი ჰქონდა მოკიდებული და შიგ ექვსი პატარა „თავმონაწიერი“ ბავშვი ჩაესვა და მიჰყავდა.

ივლიანემ გამოიყვანა ბავშვები, დაღო ხიდის თავში გოდორი და სწრაფად გავიდა გაღმა, რომ თავისი ცოლი გამოეყვანა, რომელსაც ხილში მეშვიდე ძუძუთა ბავშვი ეპირა და ელოდა იოლიანეს დახმარებას. დაქარგული ბავშვის შესახებ, ვისაც ჰკითხეს ალათიმ და ილიკომ, არავინ არაფერი იცოდა.

— მანდა, ხიდის ზევით, გიგლას ჰკითხე, — უთხრა ერთმა ჩასაფრებულმა.

— ჰო, მოისმა გიგლას ხმა, — ერთი ჩვილი ბავშვი კი დაუვარდა ციდაცს და, ერძი-ლე ნაკამიძემ წაიყვანა ცხენით.

— ნაკამიძემ? მერე საით წაიყვანა, თუ იცი?

— მაკვანეთში, იქაურია.

ალათი და ილიკო მაკვანეთისაკენ გაეშურნენ.

ნაკამიძის დიდი ეზო, ფარდულები, სახლის ოთახები, სამზარეულო სავსე იყო ქალებით, ბავშვებით და მოხუცებულ ხალხით. იყო ხმაურობა, ბავშვების ტირილი და

ალაქოთი, ეზოში აქა-იქ ცეცხლს ჩაქენდა და საკმელს ხარშავდნენ. ნაკამიძე შეჩქარებულად და სწრაფად აშოშინებდა ყველას. ურიგებ-და სანოვანეს ზოგს პურს, ბრინჯს, ლობიოს, ახალ მომსვლულს ყველას ეკითხებოდა:

— შემოვიდნენ?
— შემოვიდნენ, ყაზარებში ლაგდებიან.
— დარჩა ვინმე ქალაქში?
— არ ვიცი, ჯერ კიდევ მოდიან... ჩვენს უკან რომ მოდიოდნენ, ისინი ამბობდნენ: აღარავინ დარჩაო...

ოთახში პატარა ბავშვი ჩაეწვინა ერთ ქალს კალთაში და ძუძუს აწოვებდა. ბავშვი გაღია, გაიციანა და აკროჭინდა.

— ავი ისე იციანის, რომ ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ჰამე შე საცოდაო, — მაგრამ გამძღარმა ბავშვმა ახლა ხელ-ფეხიც აათამაშა.

— ამ ბავშვისათვის მოვიდნენ, — უთხრეს ქალს, რომელიც აწოვებდა.

— ნაკამიძე ამბობდა, რომ ეს მეხუთე ქალიშვილი შემეძინა და ახლა ქე მიჰყავენ? — სთქვა ქალმა და გაუწოდა ბავშვი.

ყველას გაეციანა. ბავშვი თბილად შეახვიეს და მიაწოდეს ალათს.

— მე წაიყვან ალათი, ნაბადში გავხვევ.

— მეორედ არ დაქარგო ყმაწვილო, — მიამახეს ილიკოს ქალებმა.

— დაიდალე ალათი? — ჰკითხა ილიკომ, როდესაც უკან შემოვიდნენ და კარგა მანძილი გამოთიარეს.

— არა, არა, მე რა დამლაღეს. შენ?..

— მე შემოძლია ას წელიწადს ვიარო, ალათი, შენთან და არ დავიდალო.

— ჰო, და...
— ჰო, და, ვიაროთ ალათი, ერთად...



მთვარე და ასპროზი მოედარა მთებსა და ტყეებს, დაბნელდა. აღათი და ილიკო ვარსკვლავების შუქზე იკვლავდნენ გზას და მიდიოდნენ შეუჩერებლივ. შეუღდნენ ბილიკით ანასეულის გზას. გავიდნენ ექაღის საყდართან. ირგვლივ სიჩუმე იღვა, მგზავრებიც არსიდან ჩანდა.

უცებ იფეთქა სინათლემ, თითქოს მზე ამოვიდა, ირგვლივ და მათ წინ განათლდა მიდამო. ორივემ უკან მოიხედა და გამტრებული ვაქვავდნენ.

- იწვის, იწვის ოზურგეთი...
- მთილ ქალაქს უჯიდა ცეცხლი.
- შეხედ, შეხედ რაგორ დარბიან სალდათები ჭიანჭველებივით და გააქეთ ღუქნებიდან ყველაფერი... ოჰ, კიდევ მიაქეთ ჩილა სახლების ასანთებდა... ჰაი, წაუკიდეს!

— ჩუმად, ჩუმად, აღათი. ირგვლივ ჩამჩუმო არ ისმოდა. ამ სიწყნარეში აზვირთებული ცეცხლი მძვინვარებდა. ალის უშველებელი წითელი ენები, თითქოს ცას სწვდებოდნენ გაათობებული და ზმაურით ისროდნენ ჩინჩხვრებს, ნაპერწყლებს და სქელ კვამლს. ცეცხლის ზღვა თითქოს ლამობდა ჩაენთქა ცა და გარსკვლავებს.

უცე თენდებოდა, როდესაც აღათი და ილიკო ანასეულში ამოვიდნენ. ცეცხლი ისევ ისე ბობოქრობდა. ალი ისევ ისე ტრიალებდა ჰაერში, ისროდა უზარმაზარ ენებს და ტყაცანით და ტრიალით აპქონდა ცისკენ მსხვილი ნაპერწყლები და კვამლი.



ანასეულზე შეხიზნული ხალხი გამოცვივნილიყენენ კარებიდან და უსიტყვოდ უსიტყვოდ ცქეროდნენ სტიქიონის ბობოქრობას. მელიც სიჩუმეში ნთქავდა მთელ ქალაქს, — მშობლიურ ოზურგეთს, რომელიც ასსოვდათ და უყვარდათ საუკუნეების განმავლობაში მათ წინაპართ. ვერ წარმოედგინათ, თუ რა იქნებოდა იმის ადგილას... ხედავდნენ, რომ იწვებოდა სახლებიც, მაგრამ ნთუ ყველა სახლს გადაწვავენ. რას იზამს ამ ზამთარში უსახლკარო ხალხი? ეს მწარე ფიქრები აწუხებდა ყველას.

გათენდა. ცეცხლი თანდათან ჩაქრა, მხოლოდ აქა-იქ იჩნდა თავს, აჩინჩხრდებოდა, აყრიდა წითელ ნაპერწყლებს და ისევ ცხრებოდა.

მზე ამოვიდა წითილი, ნაფეო, თბილი და გაღმობადურქვია ირგვლივ მთასა და ბარს ცხოველმყოფელი სხივები, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, თითქოს იანვრის დღე არ ყოფილიყოს, დაბლობში, ბზუჯს გაღმამამოღმა სოფლებში მზიარულად გაფოთილყო ტყემლის თეთრი ყავილები.

ამოვიდნენ ძირს ჩისაფრებული ყარაულები.

— აბა, ქაობო, დატრიალით, გვაქამეთ რამე. ცოტა უნდა დავისვიწროთ და ისევე წავიდეთ, უნდა შევცვალოთ ისინი, ვინც დარჩნენ საყარაულოდ. კაცი გავგზავნეთ დასაზვერად. მთელი ქალაქი წმინდად დაუწვავთ, მაგრამ ეტყობა ჯარს აქეთ არ აგზავნიან ჯერ-ჯერობით. დატვირთულ ჯარისკაცებს მიჰქონდათ და მიჰქონდათ თურმე სახლებიდან და ღუქნებიდან საწოვავე, ჭურჭლეულობა, ქვეშაავები, ასე გასინჯეთ მუთაქებიც კი...

შეწუხებული ქალები დატრიალდნენ საუზმის გასაკეთებლად.

გამალბებით სკამდნენ დაღონებულნი. — აბა, არ აალოვოთ, ახლა ჩვენ ჩავალთ და შევცვლით იქ დარჩენილ ყარაულებს... ილიკო, ბუკო, ოზურგეთში ჩადი. ერთი კარგად გაიგე რა ამბავია და შეგვატყობინე.

— ახლავე, — სთქვა ილიკომ, — ავადყოფ დედაჩემთან შევალ და დაეწვივით. აღათი, დედაჩემს არ ნახავ? მამ წამოიდა...

— ნენა, — უთხრა მან ჩალაზე გამოილოლოგინზე მწოლარე დედას, — ნენა, ნახე ვინ მოვიყვანე...

- ვინა შეილო?
- ალათი მოგიყვანე.
- ალათი? შე გეგვეწებოდი, ჩვენ ოდაში მომიყვანე შეთქი და შენ ანასუელზე, ჩალის კარავში მომიყვანე?
- ნენა...
- ილიკო, ჩქარა, — გაისმა ძახილი.
- წადი, შეილო ნენავ, წადი, ამხანაგებს

ხუ ჩამორჩები... შენც მიხვალ, ალათი, შენავ?
 — მივალ ბატონო, ბაბუღი უხვად მომიყვანე გუშინ არ წამოვიდა. ჩემ ჯარავალს ვუღარაჯვო.
 — წადი, ნენავ, წადი — მშვიდობით იმგზავრეთ. ჩვენ ვთქვით თვარა, თქვენ — ახალგაზრდობა ყველაფერს კარგს მოესწრებთ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ქ ა ლ ო ვ ა ნ ი ო რ თ ქ ლ მ ა ვ ა ლ ი

სტალინური პრემიის ლაურეატის ლებედიანსკისა და ინჟინერ სულიმცევის პროექტით კოლომნის ქარხნის მომუშავეებმა ააგეს ახალი ძალოვანი ორთქლმავალი. ორთქლმავალმა მოსკოვში ჩაიყვანა ძლიერ გრძელი შემადგენლობის მქონე მატარებელი. ამ მატარებლის წონა იყო არა ნაკლებ 3500 ტონა, ჩვეულებრივ მატარებლის წონაზე ერთნახევარჯერ მეტი. ეს იმდენად დიდი ტვირთია, რომ მის გადასაზიდად საჭიროა ათასი ავტომანქანა.

აი, როგორი ძალოვანი ორთქლმავალი იქნა აგებული. ინჟინრებმა ცოტა რაღი იმუშავეს ასეთი ძლიერი რკინის ცხენის პროექტის შესაქმნელად.

ჩვეულებრივ ორთქლმავლებს აქვთ ორთქლის ორი მანქანა. მათი ცილინდრები დგას ორთქლმავლის წინა ნაწილში, აწევა კოქსს და ბერკეტების დახმარებით ატრიალებს ბორბლებს.

ახალ ორთქლმავალს აქვს ოთხი ცილინდრი; ორი დგას წინ, როგორც ჩვეულებრივ ორთქლმავლებზე და ორი კი — ორთქლმავლის შუა ნაწილში. აი, საიდან აქვს ამდენი ძალა ახალ ორთქლმავალს.

ყველამ იცის, რომ ორთქლის მანქანას მუშაობის დროს ესაჭიროება ორთქლი. ორთქლს კი მანქანა ღებულობს ქვაბი-

დან. ახალი ორთქლმავლის ოთხივე ცილინდრა ორთქლი საკმაო რაოდენობით რომ მიიღოს, ქვაბი გააქეთეს მეტად დიდი და გრძელი. ამის გამო ახალი ორთქლმავალი დიდია. ეს ძალოვანი რკინის ცხენი თუ ყალყზე შედგა, უტოლდება შეიღისართულიან სახლს.

ასეთი ორთქლმავლის მართვა ადვილი როდია. კონსტრუქტორებმა იზრუნეს იმაზე, რომ მემანქანისა და მისი დახმარისათვის გაეადვილებინათ ორთქლმავლის მართვა.

ახალ ორთქლმავალზე მეცეცხლურის სამუშაოს მექანიკური მოწყობილობა ასრულებს. ის ტენდერში კაცივით მოხვეტავს ნახშირს და აწვდის ღუმელს.

ახალი ორთქლმავლის ნაწილების დაზეთვა ც მექანიკური მოწყობილობით სწარმოებს. საჭიროების დროს ეს მოწყობილობა, ზეთის გამტარი მილების საშუალებით, ორთქლმავლის ყოველ ნაწილს აწოდებს ზეთს. ამის გამო სირბილ არ არის საჭირო ამ უზარმაზარი ორთქლმავლის გარშემო.

ეს ორთქლმავალი შესანიშნავია. ასეთი ძალოვანი ორთქლმავლები მალე იქროლებენ ჩვენი სამშობლოს რკინიგზებზე.

ტყუალიდ კი არ ეძახიან ჩვენს ქვეყანას დიდ სარკინიგზო სახელმწიფოს.

ბ. ბითანელი

დედამიწის ქარბოძობა

როგორც ცნობილია, დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო. ამასთანავე მზის გარშემო მოძრაობს დედამიწის მსგავსი სხვა სხეულებიც, რომლებსაც პლანეტებს უწოდებენ. გარდა პლანეტებისა მზის გარშემო მოძრაობს კომეტები, მეტეორთა ნაკადები, კოსმიური მტვერი. ყველას მათ ერთად მზის სისტემას უწოდებენ (მზის ჩათვლით).

ძველა სისტემა იქით, ძლიერ შორს იმყოფება ცალკეული ვარსკვლავები, ვარსკვლავთა გროვები, ნისლეულები. ყველა ეს სხეული, მათ შორის ჩვენი მზის სისტემაც, ვახუწყვიტელ მოძრაობასა და განვითარებაშია.

დედამიწის წარმოშობა ორგანიულად არის დაკავშირებული მზის სისტემის წარმოშობასთან, ხოლო ეს უკანასკნელი ძალიანად სამყაროს განვითარებასთან. ამიტომ დედამიწისა და საერთოდ მზის სისტემის წარმოშობის საკითხის გარკვევა მეტად რთულია. ამ საკითხზე არსებებს მხოლოდ ჰიპოთეზები ანუ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები, ვარაუდები.

პირველი, თავის დროისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული ჰიპოთეზები წამოყენებული იყო ფილოსოფოს კანტის მიერ 1755 წელს, ხოლო შემდეგ 1796 წელს ფრანგი მეცნიერის ლალასის მიერ. შემდგომი ცვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ კანტისა და ლალასის ჰიპოთეზები არ შეესაბამება სინამდვილეს. გამოითქვა ახალი ჰიპოთეზები. რამდენიმე წლის წინათ თითქმის საყოველთაოდ მოწონებულად ითვლებოდა ინგლისელი ასტრონომის ჯინსის ჰიპოთეზა.

ჯინსის ჰიპოთეზის მიხედვით, თავდაპირველად მზის გარშემო მოძრაობდა სხეულების ნივთიერება მზის შემადგენლობაში შედიოდა. რამდენიმე მილიარტი წლის წინ მზეს ახლო ჩაუვლოდა სხვა ვარსკვლავმა, რომელმაც, თავისი მიზიდულობით, მას მოპკოვა ნივთიერების გარკვეული ნაწილი. ნივთიერების ამ ნაწილისაგან წარმოიშვა პლანეტები და სხვა სხეულები, რომლებიც აქამდე მზის გარშემო მოძრაობს. სამჭოთა ასტრონომია

პროფესორ ნ. ნ. პარისკამ რთული მათემატიკური გამოთვლების მიხედვით დასაბუთა, რომ აღნიშნული გზით პლანეტები არ შეიძლება წარმოშობილიყო.

ინგლისელი მეცნიერის ჰიპოთეზის ნაკვალავი აკადემიკოსმა, სამჭოთა კავშირის გამომართ. ი. შმიდტმა წამოაყენა ახალი ჰიპოთეზა, რომელიც გარკვეულს ხდის ჩვენი პლანეტების სისტემის მთელ რიგ თავისებურებებს.

აკადემიკოს შმიდტის ჰიპოთეზის ძირითადი აზრი შემდეგში მდგომარეობს: თავდაპირველად ჩვენი მზე იყო განმარტოებული ვარსკვლავი. იგი მოძრაობდა სხვა სხეულების მიძართ. დაახლოებით შვიდი მილიარდი წლის წინათ მზემ გაიარა ერთ ნისლეულში, რომელიც შეიცავდა მეტეორულ ლოდებს, კენჭებს, კოსმურ მტვერს, გაზოვან ნივთიერებას. მზემ, თავისი მიმზიდველობის გამო, მიიკრა ნივთიერების გარკვეული ნაწილი, ხოლო უფრო შორეული ნივთიერება კი გაიტაცა ნისლის სახით. პირველ ხანებში გატაცებული ლოდები უწერსივლოდ დაეხეტებოდა მზის გარშემო, ისე როგორც მუშლი (მწერები) სინათლის გარშემო.

დასაწყისიდანვე მზის გარშემო ერთი გარკვეული მიმართულებით უფრო მეტი რაოდენობის ნივთიერება მოძრაობდა. ვიდრე სხვა მიმართულებით. დროთა მსვლელობაში, ცალკეული ლოდები ერთმანეთს ეჯახებოდა, რის შედეგად ზოგ მათგანს იზიდავდა და იერთებდა მზე, ხოლო ზოგიც სხვა უფრო მსხვილ ლოდებს უერთდებოდა. ასეთი გზით თანდათანობით იზრდებოდა მზის გარშემო არსებული არე ლოდებისა, კენჭებისა და მტვერისაგან; ამავე დროს წარმოიშვა და თანდათანობით დამსხვილდა ცალკეული სხეულები, რომლებიც აქამდე პლანეტების სახით მოძრაობს მზის გარშემო.

მზის მახლობლად მოძრაობს პლანეტები — მერკური, ვენერა, დედამიწა და მარსი დიდათ ვერ დამსხვილდა, რადგანაც, სიახლოვის გამო, მზემ მიიკრა მათთან ახლომყოფ



მეტეორიტთა უმრავლესობა. მზიდან უფრო მოშორებით შეიქმნა უფრო მსხვილი პლანეტები — იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი.

ასეთივე გზით წარმოიშვა მთავარ და სხვა პლანეტების თანამგზავრები.

მეტეორული მტერისაგან ჩვენი მზის სისტემა ჯერ კიდევ მთლიანად არ გაწმენდილა. ახლაც ყოველ მოწმენდილ ღამეში ჩვენ ვხედავთ, რომ თიჩქოს კაშკაშა ნაპერწყალმა გაიარა ცაზე, რასაც ვარსკვლავის მოწყვეტას ანუ მეტეორს უწოდებენ. ყოველწლიურად დედამიწაზე ვარდება სამიათას ტონაზე მეტეორიტები და კოსმიური მტვერი.

როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, მეტეორიტების შექმნა დედამიწაზე მოხდა ახის რადიოაქტიური ნივთიერებაც, ისეთი, როგორც ურანი და რადიუმია. ეს ნივთიერება თავისი დაშლის შედეგად გამოყოფს სითბოს. დედამიწის წიაღის ცალკეულ ადგილებში რადიოაქტიური ნივთიერების დიდი რაოდენობა დაგროვდა. რადგანაც მთის ქანები სითბოს ცუდი გამტარია, ამიტომ გამოყოფილ სითბოს გამო აღნიშნულ ადგილებში ტემპერატურამ აიწია 1.300 გრადუსამდე და კიდევ უფრო მაღლაც. ასეთი მაღალი ტემპერატურით მთია ქსები დნება, გამოიყოფა გაზები და მაღალი წნევის გამო ამოხეთქავენ ეულკანების სახით.


მზის სისტემის წარმოშობის ახალი ჰიპოთეზა წამოაყენა აგრეთვე საბჭოთა აკადემიკოსმა ვ. გ. ფესენკოვმა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სამყაროს შემადგენელი ნივთიერება, მატერია განუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარების მდგომარეობაშია. აკადემიკოსი ვ. გ. ფესენკოვი ანვითარებს იმ აზრს, რომ მზის სისტემის განვითარების პროცესში

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი ნივთიერების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებათა ცვლა. მზის ზედაპირის სინათლის გახსნვეტელი გამოსხივება გარემოში ვრცელდება, რომ მის წიაღში ატომური ენერჯის წარმოშობა არ მომდინარეობდა. ატომური ენერჯის გამოყოფისას კი ხდება ქიმიურ ელემენტთა (მარტოვე ნივთიერებათა) გარდაქმნა, რასაც აუცილებლად უნდა გავიწიოს ანგარიში პლანეტათა წარმოშობის ჰიპოთეზში. ალბათ ამით აიხსნება სხვადასხვა პლანეტების ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის სხვადასხვაობა.

აკადემიკოს ვ. გ. ფესენკოვის აზრით პლანეტები ერთმეორეზე მყოფობით ჩამოშორდა მზის გავარჯერებულ მასას. ახლად გამოყოფილ პლანეტათა ნივთიერებას არ უნდა ჰქონოდა მაინცდამაინც მაღალი ტემპერატურა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნივთიერება გაიფანტებოდა სამყაროს სივრცეში და არ შეიკროდა ერთ სხეულად — პლანეტად. ასეთია საბჭოთა აკადემიკოსების შმილტისა და ფესენკოვის ჰიპოთეზები მზის სისტემისა და ექრძით დედამიწის წარმოშობის შესახებ.

ეს ჰიპოთეზები, როგორც უკანასკნელი წლების გამოკვლევამ გვიჩვენა, უფრო ახლოსაა სინამდვილესთან ვიდრე ძველი ჰიპოთეზები. მაგრამ ეს ახალი ჰიპოთეზებიც ვერ ზსნის მზის სისტემის მთელ რიგ კანონზომიერ თვისებებზე, და ამიტომ უახლოეს წლებში უნდა ველოდეთ კიდევ ახალ მოსაზრებებს აღნიშნული საკითხების გარშემო. ახალი მოსაზრებები კიდევ უფრო ახლოს იქნება სინამდვილესთან, და ამ გზით, ადრე თუ გვიან, კაცობრიობა საბოლოოდ გარკვევს დედამიწის წარმოშობის საკითხს.

პრ. ფურცხვანიძე



მზის სისტემა



ხელსაყრელი გარიგება

თუ როდის და სად მოხდა ეს ამბავი — არაა ცნობილი. შესაძლოა, სრულებითაც არ მოხდა; საფიქრებელია, რომ უფრო ასე იყო. მაგრამ ეს ნამდვილი ამბავია თუ მოგონილი, თავისთავად იმდენად საინტერესოა, რომ ღირს მისი მოსმენა.

აი ეს ამბავი. ერთი მდიდარი მილიონერი მსხვიან იყო საქმეებზე და შინ რომ ბრუნდებოდა, გზაში ისეთ რამეს წააწყდა, რაც მეტად დიდ გამოჩინებას უქადდა მას.

„ბედნიერ კაცს ბედი არ დაუღვევა — უამბობდა იგი შინაურებს. — როგორც ჩანს, ტყუილად კი არ ამბობენ, ფული ფულს ეტანებო, აი ჩემს ფულსაც ფული ეტანება. და მერე როგორ მოულოდნელად! გზაში ერთი უცნობი შეგხვდა, უბრალო კაცი იყო. მე მასთან გასაუბრებას არც ვცადებდი, მაგრამ თვითონ წამოიწყო, როგორც კი გაიგო, რომ შეძლებული კაცი ვარ. საუბრის დასასრულს ისეთი ხელსაყრელი გარიგება შემომთავაზა, რომ სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა.

— მოდი, — მეუბნება, — ასეთი პირობა დავდეთ: მთელი თვის განმავლობაში მე ყოველ დღე მოგიტან 100.000 მანეთს, მაგრამ, ცხადია, ტყუილად კი არა, თუმცა სამაგურეო გადასახადი სრულიად უბრალოაო. პირველ დღეს, მისი თქმით, მე უნდა გადაუხადო მას, — პირდაპირ სასაცილოა სათქმელად, — მხოლოდ ერთი კაპიკი.

ჩემს ყურებს არ დაეუჯერე. — ერთი კაპიკი? — შევეკითხე მას. — ერთი კაპიკი, — მეუბნება იგი. — მეორე ასეულ ათასში გადაიხდი 2 კაპიკს. — მერე? — ვეღარ მოვითმინე მე. — მერე-მეთქი?

— მერე ასე: მესამე ასეულ ათასში გადაიხდი 4 კაპიკს, მეოთხეში — 8 კაპიკს, მეხუთეში — 16 კაპიკს და ასე მთელი თვის განმავლობაში, ყოველ დღე ორჯერ მეტს წინანდელთან შედარებითო.

— და მერე რა? — ვეკითხები. — ესაა სულ, — მეუბნება, — მეტს არაფერს მოვითხოვ შენგან. მხოლოდ მტკიცედ იყავი პირობაზე: ყოველ დღით მოგიტან ასი ათას მანეთს, შენ კი გადაიხდი შენს წილს პირობის თანახმად. ოღონდ თვეზე ადრე არ გაბეღო პირობის დარღვევა.

ასეულ ათას მანეთებს იძლევა კაპიკებში? თუ მისი ფულები ყალბი არაა, მაშინ თვითონ ის კაცი სრულს მკვასზე არ უნდა იყოს. რაც არ უნდა იყოს, ხელსაყრელი საქმეა, არ უნდა გავუშვა ხელიდან.

— კეთილი, — ვეუბნები. — მოიტანე ფული. მე კი ჩემს წილს წესიერად ვაღივებდი. შენ თვითონ არ მომატყუო: ნამდვილი ფული მოიტანე.

— დამშვიდებელი ბრძანებოდეთ, — მეუბნება, — ხვალ დილით მელოდეთ.

მხოლოდ ერთი მაფიქრებს: „მოვა კი? ახარებ არ მოვიდეს, რომ მისთვის მეტად არახელსაყრელი საქმე წამოიწყოს!“


მეორე დღეს ადრიან დილით ფანჯარაზე დაუკაქუნა მდიდარს იმ უცნობმა, გზაში რომ შეხვდა.

„შევიდა თუ არა ოთახში ეს უცნაური კაცი, ამოაწყო ფულები — ყალბი კი არა, ნამდვილი. გადაუთვალა მდიდარს ხუსტად ასი ათასი და ეუბნება:

— აი ჩემს მხრე პირობის თანახმად მოვიტანე. შენი ჯერია გადახდის.

მდიდარმა დადო მაგიდაზე სპილენძის კაპიკიანი და შიშით დაუწყო ლოდინი, აიღებს სტუმარი ფულს, თუ გადააფიქრებს და თავისას უქან მოითხოვსო.

* ნაწვეტი ი. პერელმანის წიგნიდან „ცოცხალი მათემატიკა“.



სტუმარმა შეთვალა იერა კაპივანი, ასწონა ხელში და ჩაიღო ჯიბეში.

— ხელ ამ დროსვე მელოდე. არ დაგვიწყდეს, ორი კაპივი მოამზადე, — თქვა მან და წავიდა.

მდიდარი არ უჯერებდა თავის ბედს: ასი ათასი ციდან ჩამოვარდა! კვლავ გადათვალა ფული. დარწმუნდა კარვად, რომ ყალბი არაა: გადამალა და დაუწყო ლოდინი ხვალისნაღვლის.

ღამით ეკვმა აიტანა: ყაჩაღი ხომ არ იყო ის კაცი და მიამიტად ხომ არ მომჩვენა თავი! იქნებ უნდოდა გაეგო, ფულს სად ვინახავ, და მერე თავს დამესხას მძარცველებით! მგერად დაკეტა კარები და დიდხანს არ დაეძინა.

ღილით კვლავ გაისმა კარებზე კაკუნი. უცნობმა მოიტანა ფული.

გადაუთვალა მდიდარს ასი ათასი, მიიღო თავისი ორი კაპივი, ჩაიღო ჯიბეში და წავიდა, წასვლისას კი უთხრა:

— ხვალისათვის, გახსოვდეს, ოთხი კაპივი მოამზადე.

უცნობი მესამე დღესაც მოვიდა. მესამე ასეული ათასი გადაიქცა მდიდრის ხელში 4 კაპიკად.

კიდევ კიდევ, და ასევე გაჩნდა მეოთხე ასეული ათასი — 8 კაპიკად.

მეხუთე ასეული ათასიც მოვიდა — 16 კაპიკად.

გარიგებიდან შვიდი დღის გავლის შემდეგ მდიდარმა მიიღო უკვე შვიდასი ათასი მანეთი, გადაიხადა კი სულ უმნიშვნელო რამ: 1 კაპ.+ 2 კაპ.+ 4 კაპ.+ 8 კაპ.+ 16 კაპ.+ 32 კაპ.+ 64 კაპ. = 1 მან. 27 კაპ.

შეიწონა ეს ხარბ მილიონერს და უკვე ნადვლობდა, რომ პირობა მხოლოდ ერთი თვით დადო. სამ მილიონზე მეტი არ მოუწყვდა. ხომ არ დაიყოლიოს ის უცნაური კაცი კიდევ ნახევარი თვის წამატებაზე? სახიფათო კია: იქნებ მიხედეს, რომ ფულს ტყუილბრალად კარავს...

უცნობი კი წესიერად მოდიოდა ყოველ დღით თავისი ასეული ათასით. მე-8 დღეს მიიღო მან 1 მან. 28 კაპ. მე-9 დღეს — 2 მან. 56 კაპ. მე-10 დღეს — 5 მან. 12 კაპ., მე-11 დღეს — 10 მან 24 კაპ., მე-12 დღეს — 20 მან. 48 კაპ., მე-13 დღეს — 40 მან. 96 კაპ., მე-14 დღეს — 81 მან. 92 კაპ.

მდიდარი სიამოვნებით უხდიდა ამ ფულს: მან ამ დროის განმავლობაში მიიღო უკვე

ერთი მილიონ ოთხასი ათასი მანეთი, უკუნობს კი გადაუხადა სულ რაღაც $2\frac{1}{2}$ მანეთი.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მდიდრის სიხარული: მალე იგი თანდათან მიხვდა, რომ მისი უცნაური სტუმარი მიამიტი ვინმე როდია, და რომ მასთან დადებული ვარიგება არც ისე ხელსაყრელია მდიდრისათვის, როგორც აქამდე ეგონა. 15 დღის შემდეგ მოვიდა ასი ათასში უკვე კაპიკების გადახდა კი აღარ უხდებოდა, არამედ ასეული მანეთების, და ეს გადასახადები საშინელი სისწრაფით იზრდებოდა. მდიდარმა თვის მეორე ნახევარში გადაიხადა მე-15 ასეულ ათასში — 163 მან. 84 კაპ.

მე-16 ასეულ ათასში	—	327 მან. 68 კაპ.
"-17 "	"	— 655 მან. 36 კაპ.
"-18 "	"	— 1.310 მან. 72 კაპ.
"-19 "	"	— 2.621 მან. 44 კაპ.

თუმცა, მდიდარი თავს წაგებაში არ თვლიდა: გადაიხადა, მართალია, ხუთი ათასზე მეტი, სამაგიეროდ ერთი მილიონ 900 ათასი მიიღო.

მაგრამ მოგება ყოველ დღე მცირდებოდა, და ამასთანავე სულ უფრო და უფრო სწრაფად.

აი შემდგომი გადასახადები:	
მე-20-ე ასეულ ათასში	— 5.242 მან. 88 კაპ.
21-ე "	— 10.485 მან. 76 კაპ.
22-ე "	— 20.971 მან. 52 კაპ.
23-ე "	— 41.943 მან. 04 კაპ.
24-ე "	— 83.886 მან. 08 კაპ.
25-ე "	— 167.772 მან. 16 კაპ.
26-ე "	— 335.544 მან. 32 კაპ.
27-ე "	— 671.088 მან. 64 კაპ.

ახლა უფრო მეტის გადახდა უხდებოდა მდიდარს, ვიდრე იღებდა, საჭირო იყო



აქ შეწყვეტიდა, მაგრამ არ შეიძლებოდა პირობის დარღვევა.

შემდეგ უფრო ცუდად წავიდა მდიდრის საქმე.

დაწყებული 28-ე დღიდან მდიდარს უკვე მილიონების გადახდა დასჭირდა. უკანასკნელმა ორმა დღემ კი სულ ერთიანად გააქოტრა.

აი მისი ეს საშინელი გადასახადები:

28-ე ასეულ ათასში. 1.342.177 მან. 28 კაბ.

29-ე ასეულ ათასში. ..2.684.354. მან. 56 კაბ.

30-ე ასეულ ათასში. ..5.368.709 მან. 12 კაბ

როდესაც უცნობი უკანასკნელმა დღემ დასრულდა, მილიონებმა იანგარიშმა თითქმის დასრულდა მას ეს პირველი შეხედვით იცავდნენ ნაშთი სპირიტის მილიონი მანეთი. გამოირკვა, რომ უცნობისათვის გადაუხდია 10.737.418 მან. 23 კაბ. თითქმის თერთმეტი მილიონი!.. საქმე კი ერთი კაბივით დაწყდა.

თარგმანი შ. გვინიძისა



სილის

საიდუმლოება

ყოველ ჩვენთაგანს გაუტეხია ქათმის კვერცხი და უნახავს გამჭვირვალე შველაფი სითხე. — ეს არის ცილა.

აიღეთ ერთი პეშვი პურის ფქვილი, გარეცხეთ წყალში, გასწურეთ და რაც დარჩება ქურჭელში ქვევით — რეზინის მსგავსი შესქელებული ნივთიერება, ეს იქნება ხორბლის ცილა.

ჩაიხედეთ ქებაში, რომელშიც იხარშება ხორცი, თქვენ დაინახავთ მონაცრისფერ სიფრიფანას, ეს არის ხორცის აქრილი ცილა.

დღი დაკვირვების და გამოკვლევის შედეგად, მეცნიერებმა ცილა იპოვნეს ცოცხალ ორგანიზმის ყოველ უჯრედში, მიუხედავად იმისა, მეცნარეა ის თუ ცხოველი.

ახლა უკვე ნამდვილად დადგენილია, რომ ცილის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე. ამის გარდა, დამტკიცებულია, რომ ცილა ითვლება სიცოცხლის დაწყებულ, სიცოცხლე წარმოიშვა ძლიერ შორეულ წარსულში ცილის სხეულში.

ცილა მეტად რთული ნივთიერებაა; მის შემადგენლობაში შედის ნახშირბადი, მჟავა, აზოტი, გოგირდი და სხვა ელემენტები.

შედარების დროს აღმოჩნდა, რომ ქათმის კვერცხის ცილა სხვაა, ვიდრე მუხუდოს ცილა, ხოლო ცილა, რომელსაც ხორბლისაგან ვღებულობთ, სრულიად არა ჰყავს ცხოველის სისხლის ცილას.

ჯერ კიდევ დიდხინს წინათ შენიშნული იყო, რომ ცხოველებსაგან მიღებულ ცილას (რძე, კვერცხი, ხორცი) უფრო არავის ითვისებს ორგანიზმი ხბოს ან ბატკანს თუ ჩვენ მივცემთ რძეს, ისინი სწრაფად გაიზრდებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ რძის ცილას ძალიან კარგად ითვისებს მათი ორგანიზმი.

როდესაც ცხოველი ცილას ღებულობს პირადად მეცნარეებისაგან, მისი ათვისება ხდება მხოლოდ სამოცი პროცენტით. ზოგიერთი მეცნარის ცილა კი ცხოველებსათვის საკვებად უფარგისია.

საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა სერგეი სტრეფანეს-ძე პეროვმა აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველა ცილას, მიუხედავად იმისა ცხოველისაა ის თუ მეცნარის, ერთი და იგივე საფუძველი აქვს. პეროვმა განსაკუთრებული ხერხით გასწმინდა მოხუდოს თვისლის შერის, ხანჭოლისა და სხვა მეცნარე ცილა და როდესაც იგი შეადარა რძის ცილას, აღმოჩნდა, რომ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის.

მეცნარეების გაწმენდილი ცილა არაფრით არ ჩამოუვარდება ცხოველების ცილას. ხბოები, ბატკნები, გოჭები, რომლებიც იკვებებიან მეცნარის გაწმენდილი ცილით, მთლიანად ითვისებენ მას.

პეროვმა დააყენა ასეთი ცდა: მან აიყვანა ჯგუფი ბატკნების; ნაწილს კვებავდა ძვირფასი ფქვილით, ნაწილს კი შერის თვისლის გაწმენდილი ცილით. ერთნ თვის შემდეგ



აწონა ბატკნები და აღმოჩნდა, რომ ბატკნე-
ბი, რომლებმაც მიიღეს გაწმენდილი ცილა,
მოიმატეს წონაში ერთხანეიარჯერ მეტი.
ვიდრე იმათ, რომლებიც იკვებებოდნენ
მერიის ფეკლით.

აკადემიკოს პეროვის აღმოჩენა ამსუბუ-
ჭებს მეშობას მეცხოველეობის კოლმეურ-
ნოებში.

ყველაზე მძიმე საქმედ მეცხოველეობის
კოლმეურნეობებში ითვლებოდა კარგი მუწ-
ველი ძროხებისათვის საკვების შერჩევა.

ცნობილია, რომ ერთი ლიტრი რძის მისა-
ღებად ძროხის ორგანიზმმა უნდა დახარჯოს
50 გრამი მცენარეულის ცილა. მეცხოვე-
ლეობა იციან, რომ უშუალოდ მცენარეულის
თესლიდან ცხოველი ითვისებს მხოლოდ ცო-
ლის სამოკ პროცენტს. ახლა მეცხოველე
იყენებს მათემატიკას. თუ მას უნდა შილოს
ძროხისაგან 12 ათასი ლიტრი რძე წელიწად-
ში, დღეში უნდა წველოს 40 ლიტრი. 40
ლიტრი რომ მოიწველოს, ერთმა ძროხამ

უნდა აითვისოს დღეში ორი პერიცენტი
მცენარეულობის ცილა. მაშასწამად
უნდა შეჭამოს 24 კილოგრამი შერია ან 17
კილოგრამი ხორბლის ლერლილი. მაგრამ
ხომ არ შეიძლება, რომ ძროხა იკვებებოდეს
მარტო ლერლილით ან ჩენჩოთი? მან აგრე-
თვე უნდა ჭამოს თევა, ძირნაყოფა და სხვა
საკვები.

ვინა შეუძლია ძროხას ამდენი საკვების
ჭამა? რა თქმა უნდა — არა.

თუ კი შერიის თესლისაგან მიღებულ გაწ-
მენდილ ცილას (რომელიც აკადემიკოს პე-
როვის ცდით არის მიღებული) მივცემთ ძრო-
ხას, მაშინ მისთვის საჭმარისი იქნება 3-4
კილოგრამი ცილა.

აკადემიკოს პეროვის აღმოჩენა საშუალე-
ბას გვაძლევს, რომ მცენარეები გადავაქ-
ციოთ საუკეთესო საზრდაოდ.

მაღე გაწმენდილ საკვებ ცილას დაამზაღე-
ბენ სპეციალური ქარხნები.

3. პაპლინი

პლასტმასა

უკანასკნელი ათეული წლების განმავლო-
ბაში პლასტიკური მასის ნაკეთობები შეი-
ქრნენ ტექნიკისა და ყოფაცხოვრების ყვე-
ლა დარგში. პლასტიკური მასიდან აკეთ-
ბენ მანქანების მავარ დეტალებს, ელემ-
ტროსადენის მოჭილ ვარსს, გამჭვირვალე
ხუფებს, რომელიც თვითმფრინავის კაბი-
ნებს იცავს ტენისა (ნესტის) და პერის მო-
ქმედებისაგან. პლასტიკური მასისაგან ამ-
ზადებენ საოჯახო ჭურჭელსა და სხვა საგ-
ნებს. პლასტიკური მასა სცვლის ლითონს,
მინას, ხეს და მათგან განსხვავდება თავისი
სიმსუბუქით, სიმკვრივით და გამძლეობით.

რისგან მზადდება პლასტიკური მასა?
პლასტიკურ მასას ამზადებენ ქიმიური

საშუალებით, რისთვისაც იყენებენ ხის ნა-
ხერხს, ფისს, სპირტს, მუავებს და სხვ. ამავე
დროს პლასტიკურ მასას შეიძლება მიეცეს
საჭირო თვისება: სირბილე ან სიმავრე, მო-
ქნილობა, გამჭვირვალეობა და ასე შემდეგ.

პლასტიკური მასის წარმოების განვითარ-
ებაში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა
გამოჩენილი სწავლულის — აკადემიკოს ა.
ე. ფარსკის შრომებმა. აკადემიკოს ს. ვ.
ლებედევთან და თავის სხვა მოწაფეებთან
ერთად, ფარსკიმ დაამუშავა ხელოვნური
კაუჩუკისა და პლასტიკური მასის მიღების
მეთოდები და მოგვცა მეცნიერული საფუ-
ძელები საბჭოთა ქიმიური მრეწველობის
მრავალი ახალი დარგის განვითარებისათვის.

ზანგი მპლონის ბაღი

ზანგი მპლონის ბაღი ოქტომბერ 1936
წელს მოწაწილეობას ღებულობდა ბერლინ-
ში მსოფლიო ოლიმპიადაზე. თითქმის
კაცობრივად ფაშისტების ყინზე ოქტომბ-
ერს ოქროს თთხი მედალი მოიპოვა. ეს უდი-
დესი გამარჯვება იყო და ამიტომ ამერიკა-
ში დაბრუნებისას მას დიდი ბანკეტი გაუ-
მართეს. მაგრამ დიდების შარავანდედით
მოსილი სპორტსმენი, რომელმაც ვანადიდა
ამერიკის სპორტული პრესტიჟი, პირქუშად
იჯდა და გულგრილად ისმენდა მისასაღმე-
ბელ სიტყვებს.

ყველა უცდიდა მის საპასუხო გამოსვლას.
აი, წამოღდა ახლანეი ზანგი და გაბორბტე-
ბით წამოიძახა:

— გეყოფათ ფარისევლობა! საბჭოთა
მიეციტ ჩემს უმუშევარ მამას!

სკანდალურად დამთავრდა ეს მლიქვნე-
ლური ბანკეტი.

ოქტომბს, რომელმაც ხმა აღიმალა ამერი-
კაში არსებული სოციალური უთანასწო-
რობის წინააღმდეგ, საშუალოდ აუქრძალეს
სასპორტო შეჯიბრებაში მონაწილეობა.



ნიანგს ჰქონდა მთელი სიგრძე სულ ასათი სანტიმეტრი. თავი ზორბა, ტანი მცირე, კული გრძელი მეტისმეტი.

სრული ათი სანტიმეტრით თავი იყო ტანზე გრძელი, კული — ორი თავის სიგრძე; სატარებლად მეტად ძნელი.

ზომა თავის, ტანის, კულის ამოხსენი თითო — თითო და პასუხი მაშინ მითხარ, როცა ზუსტად გადასწყვიტო!

დ. ძემაშიძე

მხტუნავი თევზები ცხოვრობენ აფრიკის, ინდოეთისა და ნაპირების გასწვრივ ტროპიკულ ნაწილებში. ეს თევზები მეტწილად მშრალზე ნადირობენ. ცხოვრობენ შლამში ბაყაყის მსგავსად. შესანიშნავად დახტიან მიწაზე და საერთის მოახლოების შემთხვევაში მიაშურებენ რა წყალს. უმაღლეს გაუჩინარდებიან შლამში.

უწყლოდ შეუძლიათ დამყონ საათობით, ხოლო თვალთა ხედვა მათ წყალში და ხმელეთზე თანაბარი აქვთ.

6. თავადიფოვილი

პასუხები

№ 8-ში მოთავსებულ დ. ძემაშიძის გამოცანებზე: 1. დედელამე, 2. დედამიწა და მთვარე; ხალხურ გამოცანებზე: 1. მარილი, 2. ყინული, 3. კარები, 4. გამოძახილი (ცხო).

შინაარსი

შ. ფორჩხიძე — შემოდგომის სურათები (ლექსი)	83
წ. ჩხეიძე — ჯიშე (მოთხრობა)	2
დ. ნუცუბიძე — აკაცია გავაშენეთ (ლექსი)	3
გრ. ბერძენიშვილი — ბუნებასთან ახლოს (ნარკვევი)	4
ელ. უბილავა — მეწისქვილე (მოთხრობა)	6
თ. ლომინაძე — ნიშნების ბრძოლა (ლექსი)	9
წ. ჯაში — სტალინგრადი (წერილი)	10
ვ. გორგანელი — თქვი, რა გიყვარს! (ლექსი)	11
შ. დემეტრაძე — ფრედერიკ შობენი (წერილი)	12
ქ. გოგიაშვილი — ცერცეტა (მეცხა)	13
ა. ბურთიკაშვილი — ანასტასია თუმანიშვილი. წერეთლისა (წერილი)	20
წ. ნაკაშიძე — ანასელი (მოთხრობა, გაგრძელება)	21
ბ. ბეთანელი — ძალღვანი ორთქლმავალი (წერილი)	25

ა. ფურცხვანიძე — დედამიწის წარმოშობა (წერილი)	26
ი. პერელმანი — ხელსაყრელი გარიგება (მოთხრობა-ამოცანა)	28
ე. ევლინი — ცილის საიდუმლოება (წერილი)	30
გასართობი	32
ოცდამეცხრამეტე საბჭო მოსკოვში გარეყანის მე-3 გვ.	
გარეყანის პირველ გვერდზე ნახატი — „რთველი“ შესრულებულია ახალგაზრდა მხატვარ ა. ბანდელაძის მიერ	
გარეყანის მე-4 გვერდზე მუსიკა — „სკოლისაქენ“ კომპოზიტორ თ. შავერზაშვილისა.	

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ძაბახიძე

პასუხისმგებელი მდივანი ვ. თორღუა

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიანიშვილი, გ. თავაზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

№ 04449 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეჯ. № 114 სტამბის შეჯ. № 1250
 ლ. პ. ბერაის სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.
 შურნალის გარეყანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანზე.

ოსდაშვიდსაკრთუდიანი შენობა მოსკოვში



სტალინმა რუსი ხალხის სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვს ახალი ეპოქის მედროშე უწოდა.

მოსკოვის გაღამაზება, ქუჩების და მოედნების დაგეგმვა, ახალი შენობების აგება, ქალაქის გამწვანება, აი რაზე ზრუნავს დაუღალავად პარტია და ხელისუფლება.

ამხანაგი სტალინის ინიციატივით ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება აიგოს მოსკოვში რვა უმაღლესი შენობა, რომლებმაც უნდა გაამწვინერონ ქალაქი და მის გარეგნობას მეტი სიღაღე მისცენ.

ერთი ასეთი შენობათაგანი აღიმართება სმოლენსკის მოედანზე. ეს ადგილი იმდენად მაღალია გარემოცულ ტერიტორიასთან შედარებით, რომ ქალაქის მოახლოვებისთანავე შენობა შორიდანვე გამოჩნდება.

ეს უმაღლესი შენობა განყოფილია მთავრობის დაწესებულებებისათვის.

ამ შენობას ოცი სამუშაო სართული ექნება. სამსახურებრივი ოთახები, კაბინეტები, დარბაზები და სხვა. შენობის ცენტრალურ ნაწილში 850 სამუშაო ოთახი იქნება, რომლის საერთო ფართობი 22 ათას კვ. მეტრს აღემატება. შენობას ექნება სხდომების დარბაზი, რომელიც 500 კაცს დაიტევს. აგრეთვე ექნება სასაილო რესტორანი, მეცნიერულ ტექნიკური ბიბლიოთეკა, ბანკის განყოფი-

ლება, შემნახველი საღაროები, ფოსტატელეგრაფი და სხვ.

სულ ზევით იქნება ტექნიკური სართოლები, სადაც მოთავსებული იქნება ვენტილაცია, წყლის ბაქები, ტრანსფორმატორული ქვესადგურები, ლიფტების მანქანების სადგომი და სხვ. ლიფტების მანქანების ერთი ნაწილი 11-ე სართულს ზევით იქნება, მეორე კი — 20-ე სართულს ზევით.

ოთხი მოძრავი — ესკალატორი ჩაიყვანს მომსვლელთ ვესტიბულიდან ფართო გარდერობში, რომელიც 4000 კაცს დაიტევს. თითოეული ლიფტი დაიტევს 16 ადამიანს. მიუხედავად ყოველ სართულზე გაჩერებისა, ლიფტი მაინც ერთ წუთში მიადწევს მე-20 სართულს.

ტვირთისათვის ცალკე სპეციალური ლიფტები იქნება, ასეთივე სწრაფი და უხმაური ტექნიკური სართოლებს ჩათვლით, შენობის სიმაღლე მიადწევს 120 მეტრს.

შენობის საერთო წონა მეტად დიდი იქნება — 300 ათასი ტონა. საჭირო იყო შემუშავებულიყო განსაკუთრებული ტიპის საძირკველი, რომელიც შესძლებდა ასეთი კოლოსალური სიმძიმის დაკავებას. საძირკველი წარმოადგენს მასიურ მაგარ რკინა-ბეტონის ჩარჩოს, რომლის სიღრმეში იქნება სარდაფები.

მ. გომეზიკა



15/1

სკოლისაკენ



ნანი 5 ნან.

მუსიკა ფორტეპიანოსთვის თაზად ზაზიკაზაზილია

Allegretto.

Piano.

f non legato

mf

The musical score is written for piano and consists of six systems, each with a treble and bass staff. The tempo is marked 'Allegretto'. The first system begins with a piano dynamic (*f non legato*) in the right hand and a mezzo-forte (*mf*) accompaniment in the left hand. The second system continues the piece with similar dynamics. The third system features a first ending (1.) and a second ending (2.), both marked with mezzo-forte (*mf*). The fourth system introduces a piano (*p*) dynamic in the right hand. The fifth system includes a crescendo (*cresc.*) marking. The sixth system concludes with a fortissimo (*ff*) dynamic. The piece ends with a double bar line and a repeat sign.